

სერგო ვარდოსანიძე

თბილისის სასულიერო სემინარია და
აკადემია

წიგნი ეძღვნება თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის ისტორიას. 1963 წელს მცხეთაში გაიხსნა ჯერ სამოძღვრო კურსები, რომელიც შემდეგ სემინარიად გადაკეთდა. იგი დაარსდა უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ II-ის ლოცვა-კურთხევით. სემინარიის პირველი რექტორი იყო შემოქმედელი ეპისკოპოსი ილია (შიოლაშვილი). 1988 წელს მცხეთის სემინარია გადმოვიდა თბილისში, უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით თბილისში გაიხსნა სასულიერო აკადემია. წიგნი მოგვითხრობს სასულიერო სემინარიისა და სასულიერო აკადემიის შესახებ. იგი ეძღვნება სემინარიის 46 და აკადემიის 21 წლისთავს.

რედაქტორი: ფილოლოგიის დოქტორი, თბილისის სასულიერო აკადემიის პრორექტორი დეკანოზი მიქაელ გალდავა
რეცენზენტები: ისტორიის დოქტორი გიორგი მაისურაძე
ფილოლოგიის დოქტორი მამუკა ცუხიშვილი

თბილისი 2009 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. შესავალი
2. მცხეთის სასულიერო სემინარია
3. თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია
4. მცხეთის სასულიერო სემინარიის დამაარსებელი, რექტორები, თბილისის სასულიერო აკადემიის, სემინარიისა და საღვთისმეტყველო ინსტიტუტის რექტორები...
5. თბილისის სასულიერო აკადემიის, სემინარიის, საღვთისმეტყველო ინსტიტუტის ფაკულტეტები, დეკანები
6. თბილისის სასულიერო აკადემიის, სემინარიის, საღვთისმეტყველო ინსტიტუტის კათედრები, კათედრათა გამგეები.

შესავალი

„მე თვითონ უძვირფასესო ახალგაზრდავ, რიტორიკული განათლება გავიარე არაწყნარსა და ელინურ ადგილას, არამედ პონტოს ნაპირზედ, ფაზისის მახლობლად, სადაც თესალიოდან წასული გემი არგო მიადგა... რასაც მე ვლაპარაკობ ნათელი გახდება შენთვის თუ მეტყვი, რომ მე იქ (კოლხეთში) წავიდი არა საკუთარი მისწრაფებით, არამედ მამის რჩევით, რომელიც ყველაზე უფრო კეთილმოსურნე იყო ჩემთვის. და სადაც მოაზროვნე, როგორც ფილოსოფოსი, იქნებ შენ ისიც უსაყვედურო მას, რომ მან თავისი ცნობილი ფილოსოფიური განათლებაც იქვე მიიღო“¹ ამ სიტყვების ავტორი ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსი თემისტოსია, რომელსაც IV საუკუნის I ნახევარში კოლხეთში მიუღია განათლება. ქრისტიანული სარწმუნოების სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ (326წ), როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში ეკლესიამონასტრებთან ფუნქციონირება დაიწყო საეკლესიო-სამონასტრო სკოლებმა, სადაც ასწავლიდნენ დამწერლობას, ძველ და ახალ აღთქმას.

სასულიერო განათლების კერები კიდევ უფრო გამრავლდა VII-IX საუკუნეებში, იწერებოდა სასწავლო სახელმძღვანელოები. ცამეტ ასურულ მამათგან ცნობილ შიო მღვიმელის ცხოვრების მიხედვით ირკვევა, წმინდა შიოს „ორიგინალური სახელმძღვანელო“ დაუწერია, თავისი მოსწავლეებისათვის, როცა შეევედრნენ „რათა მისცენ მათ სწავლანი მის მიერნი“ მაშინ „აღუწერა მათ შიომ 160 თავი სწავლანი ყოვლად შვენიერი და ტკბილი, რომლითაც განისწავლენა და ყოველი იგი კრებულნი“². გიორგი მერჩულეს გრიგოლ ხაძთელის ცხოვრებიდან კარგად ჩანს, რომ მისთვის მონასტერში შეუსწავლებია „მწიგნობრობაიც: მრავალთა ენათაო“.

IX-X საუკუნეებში ქართულ სასულიერო-საგანმანათლებლო ცენტრებში სასწავლო საგნებისა და სახელმძღვანელოების შესახებ მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის „მატბერდის კრებული“. როგორც ირკვევა ამ დროს ისწავლებოდა: თეოლოგია, ფილოსოფია, გალობა, უცხო ენა, მოკლე ქრონოლოგიური ცნობები მსოფლიო ისტორიიდან, საქართველოს ისტორია, მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სასწავლებლებში „მასწავლებელ-მოძღვართა“ განსწავლულობას, მათ ცოდნის სრულყოფის მიზნით აგზავნიდა აღმოსავლეთის ქრისტიანულ საგანმანათლებლო ცენტრებში (ანტიოქია, იერუსალიმი, ბიზანტია), ამავე დროს ზრუნავდა ქართველი ახალგაზრდების საფუძვლიან განათლებაზე. XI საუკუნის 70-იან წლებში დიდმა გიორგი მთაწმინდელმა განათლების მისაღებად 80 ყმაწვილი წაიყვანა ათონზე.

ქართველმა მეფეებმა შესანიშნავად იცოდნენ ქართული სახელმწიფოს აღმავლობა, წინსვლა, განათლების გარეშე შეუძლებელი იყო და ყველაფერს აკეთებდნენ სასულიერო და საერო განათლების ცენტრების გამრავლებისათვის. XII-XIII საუკუნეებში „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“ განვრცობილ საქართველოში სამი აკადემია ფუნქციონირებდა (გელათი, იყალთო, გრემი). წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის ღვაწლით XII საუკუნის დასაწყისში გელათში გაიხსნა სასულიერო აკადემია, რომელიც „აწ წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალემად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისა, მოძღვრად სასწავლებლებისადმი, სხვა ათინად, ფრიად უადრესსა მისცა, საღმრთოთა შინა წესად, კანონად ყოვლისა საეკლესიოსა შუენიერებისად.“ დავით აღმაშენებელმა აქ სამოღვაწეოდ და ყმაწვილთა გასაწვრთნელად „შემოკრიბა კაცნი პატიოსანნი“. ცხოვრებითა და შემკულნი ყოველთა, არა თავისთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი, არამედ ქვეყნის კიდეთა სადაცა ესმა ვიეთმე სიწმიდე, სიკეთე, სისრულე, სულიერითა და ხორციელითა სათნოებითა აღსავსეობა, იძია და კეთილად გამოიძია, მოიყვანა და დაამკვიდრნა მას შინა.“ გელათის აკადემიაში არაერთი გამოჩენილი პიროვნება მოღვაწეობდა აქ ისწავლებოდა: ფილოსოფია, რიტორიკა, დოგმატიკა, გრამატიკა, ართმეტიკა-გეომეტრია, გალობა, ასტრონომია, ისტორია. აკადემიას ხელმძღვანელობდა „მოძღვართმოძღვარი“ (რექტორი), რომელიც აკად. როინ მეტრეველის სიტყვებით „ძალზედ მაღალ პატივში იყო აყვანილი. ეს პატივი თვით აკადემიის დიდი მნიშვნელობით იყო განპირობებული“⁴⁵ დავით აღმაშენებლისათვის მაღალი საერო და სასულიერო თანამდებობაზე ადამიანის დაწინაურებისათვის განმსაზღვრელი არა მისი წარმომავლობა, არამედ ღირსება-განსწავლულობა იყო.

სასულიერო სასწავლებლები იყო შიომღვიმეში, ოპიზაში, ოშკში მატბერდში, ბერთაში, ხანძთაში, სადაც ასწავლიდნენ: თეოლოგიას, მწიგნობრობას, ისტორიას.

XIV-XV საუკუნეებში მონღოლთა და თემურ-ლენგის ლაშქრობებმა, საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლამ, შეამცირა სასწავლო-საგანმანათლებლო კერები, მაგრამ პერიფერიებში მაინც ხერხდებოდა მათი შენარჩუნება. ამ სასწავლებლებში მოღვაწე მასწავლებლები ახალგაზრდობას ზრდიდნენ მართლმადიდებლური სარწმუნოებისა და ერთიანი ქართული სახელმწიფოებრივი იდეალების ერთგულების სულისკვეთებით...

XVIII საუკუნეში ქართლის მეფის ვახტანგ VI ღვაწლით დაარსებულ სასწავლებელში ასწავლიდნენ ყველას განურჩევლად წოდებისა და ხარისხისა. XVII-XVIII საუკუნეებში გარეშე მტერთა განუწყვეტელი შემოსევების მიუხედავად

მუშაობა არ შეუწყვეტია დავით-გარეჯის სამონასტრო ცენტრთან არსებულ სკოლას და არაერთი დიდი საეკლესიო მოღვაწე გაუზრდია. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა დომენტი III (1704-1724 წლებში) „თავი მოუყარა მწერალ-მწიგნობართა შეკრება, მრავალი წიგნი, გახსნა ყრმათა სასწავლო სკოლა“⁶.

XVIII საუკუნეში სასულიერო სასწავლო-საგანმანათლებლო ცენტრები იყო გელათში, შემოქმედში, თბილისში, თელავში.

1748 წლის 13 ნოემბერს საქართველოს საეკლესიო კრებამ უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ I-ის წინადადებით დაადგინა, რომ მღვდლად არ შეიძლებოდა ეკურთხებინათ ის პირი, რომელსაც სასულიერო სასწავლებელი არ ექნებოდა დამთავრებული.

1755 წელს უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ I-ის ლოცვა-კურთხევით ანჩისხატის ტაძრის ეზოში გაიხსნა თბილისის სასულიერო სემინარია. მისი პირველი რექტორი იყო ფილიპე ყაითმაზაშვილი. 1782 წელს სემინარია გაიხსნა თელავში. რექტორად დაინიშნა გაიოზ არქიმანდრიტი. სემინარიების სასწავლო პროგრამები, სწავლების დონე იმ დროინდელი უმაღლესი სასწავლებლების დონეს უტოლდებოდა. აქ ისწავლებოდა: თეოლოგია, დოგმატიკა, გრამატიკა, რიტორიკა, ლოგიკა, მეტაფიზიკა, ფსიქოლოგია, ისტორია. ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II დიდ ყურადღებას აქცევდა სემინარიების გამართულ მუშაობას. ასევე დასავლეთ საქართველოში შემოქმედის, ხონის, ჯრუჭის მონასტრებთან არსებული სასულიერო-სამონასტრო სკოლები დიდ როლს ასრულებდნენ ქართული კულტურის განვითარების საქმეში.

XIX საუკუნის დასაწყისში გაუქმდა ჯერ ქართლ-კახეთის, ხოლო შემდეგ იმერეთის სამეფოები. 1811 წელს რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის ბრძანებულებით გაუქმდა საქართველოს მართმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ანტონ II რუსეთში გაიწვიეს, მის ადგილზე რუსეთის სინოდს დაქვემდებარებული საქართველოს ეგზარქოსი დანიშნეს, 1812-1820 წლებში ეგზარქოს თეოფილაქტე რუსანოვის მმართველობის დროს გაუქმდა ლიხთ-იმერეთისა და აფხაზთა საკათოლიკოსო, კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყრდენი: დოსითეოს ქუთათელი და ექვთიმე გენათელი დააპატიმრეს... ქართული სასულიერო სასწავლებლები უპატრონოდ დარჩა და სულ მალე გაუქმდა. 1817 წელს რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლების გადაწყვეტილებით თბილისში გაიხსნა რუსული სასულიერო სემინარია, რომელსაც უნდა მოემზადებინა სასულიერო პირები რუსეთის ეკლესიისა და სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად. 1818 წელს სასულიერო სასწავლებლები გაიხსნა გორსა და თელავში. სასწავლო გეგმით გათვალისწინებული იყო თეოლოგიის, ისტორიის, ლიტერატურის, კლასიკური ენებისა და საეკლესიო-სლავური გალობის სწავლება. სასულიერო სასწავლებლებში უგულვებელყოფილი იყო ქართული ენა, საქართველოს ისტორია, ქართული გალობა. სასწავლო საგნების შინაარსი ისე იყო აგებული „დიდი რუსეთის, როგორც მსოფლიო მართმადიდებლობის ბურჯის“ მითი უნდა ყოფილიყო მოსწავლეთა ცნობიერების მთავარი საფუძველი XIX საუკუნის II ნახევარში ორწლიანი სასულიერო სასწავლებლები გაიხსნა თბილისში, ქუთაისში, თელავში, ოზურგეთში, გორში, მარტვილში. 1894 წელს ეპისკოპოს გაბრიელის (ქიქოძე) თაოსნობით სასულიერო სემინარია გაიხსნა ქუთაისში.

XIX საუკუნის II ნახევარში რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას მძაფრად დაუპირისპირდა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით. ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მიზანი იყო ქართველი ხალხი დაებრუნებინა დავიწყებულ ისტორიულ ფესვებთან, აემდლებინა მათში ეროვნული ღირსების გრძნობა და ეკლესიური და სახელმწიფოებრივი თავისუფლებისათვის ბრძოლა. რუსულ იმპერიულ საგანმანათლებლო პოლიტიკას დაუპირისპირდა ქართული, ბრძოლა იყო უშედეგო... პრესის ფურცლებიდან დაპირისპირებამ გადაინაცვლა საერო და სასულიერო სასწავლებლებში. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ და „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლები“ სასწავლო პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა, დაპირისპირების ეპიცენტრად XIX საუკუნის 80-იან წლებში თბილისის სასულიერო სემინარია იქცა.

ერთ მხარეზე იდგნენ სემინარიის რექტორი, რუსეთის იმპერიული ინტერესების გამომხატველი პედაგოგები, მეორეზე ქართველი სტუდენტები და მასწავლებლები... დაპირისპირების კულმინაცია იყო სემინარიის რექტორ დეკანოზ ჩუღეცკის მკვლელობა 1886 წელს. ამის გამო ეროვნული სულისკვეთების სტუდენტები მემამბოხეებად და რუსეთის საშიშ ძალად გამოაცხადეს და სემინარიიდან გარიცხეს. მათი უმრავლესობა XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ახალი პოლიტიკური მიმდინარეობის, „სოციალ-დემოკრატების“ სახით მოგვევლინენ და დაუპირისპირდნენ ეკლესიას.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში არსებული სასულიერო სემინარები და სასწავლებლები ასრულებდნენ დეკანოზ ი. ვოსტორგოვის შეგონებას „მათ უპირველეს ყოვლისა, უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი ვალდებულნი არიან მთელი თავისი ძალ-ღონე და ენერჯია მოახმარონ ქართველთა გარუსების საქმეს.“ სასულიერო სასწავლებლებიდან საერთოდ განდევნეს ქართული ენა და ლიტერატურა, დევნიდნენ ქართველ მასწავლებლებს. ქართველთა დენაციონალიზაციის მიზნით ცდილობდნენ სამეგრელოსა და სვანეთში ადგილობრივი მოსახლეობის იმ აზრის ჩანერგვას, რომ ისინი ქართველები არ არიან....

რუსეთის იმპერიულ საგანმანათლებლო პოლიტიკას უპირისპირდებოდნენ: ეპისკოპოსები: გაბრელი (ქიქოძე), ალექსანდრე (ოქროპირიძე), ლეონიდე (ოქროპირიძე), კირიონი (სამაგლიშვილი) არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია), დეკანოზები: ქრისტეფორე ციციქიშვილი, კალისტრატე ცინცაძე, დავით ღამბაშიძე და სხვები.

1917 წლის 12 (25) მარტს მცხეთაში, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში შეკრებილმა ქართველმა სამღვდელოებამ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიას ავტოკეფალიის აღდგენა გამოაცხადა. 1917 წლის 8-17 სექტემბერს თბილისში სიონის საპატრიარქო ტაძარში მიმდინარეობდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საეკლესიო კრება, რომელმაც იმსჯელა საეკლესიო მართვა- გამგეობის დებულების, ეპარქიების გახსნის, სამღვდელმთავრო კანდიდატების, სასულიერო სასწავლებლების გაერთიანების საკითხებზე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად არჩეულმა დიდმა მეცნიერმა და საეკლესიო მოღვაწემ უწმიდესმა და უნეტარესმა კირიონ II-ემ თბილისის რუსული სასულიერო სემინარიის რექტორს კორნელი

კეკელიძეს და კიევის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებულს დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძეს დაავალა ქართული სასულიერო სემინარიის სასწავლო გეგმის და პროგრამის შედგენა. უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II გრძნობდა ავტოკეფალია აღდგენილი საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიისათვის რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პირველ ეტაპზე სასულიერო სემინარიის, ხოლო შემდეგ აკადემიის დაარსებას, რომელნიც აღადგენდნენ გელათის, იყალთოს, გრემის სასულიერო აკადემიების, თბილისისა და თელავის სასულიერო სემინარიების დიდ ტრადიციებს, მოამზადებდნენ კადრებს მართლმადიდებლური და ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით. უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II 1918 წლის 26 იანვარს მიესალმა რა თბილისის უნივერსიტეტის გახსნას აღნიშნა: „სულითა და გულით ვისურვებ, რომ ამ ჩვენ ქართულ ნორჩ უნივერსიტეტში მალე გახსნილიყოს ყველა განზრახული ფაკულტეტი და მიმატებოდეს მას საღვთისმეტყველო ფაკულტეტიც, როგორც ეს დასავლეთ ევროპაში არის მოწყობილიო“⁸.

1918 წლის 26 მაისს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ხელისუფლების სათავეში მოსულ სოციალ-დემოკრატებს (მენშევიკურ ფრთას) ახალ დემოკრატიულ სახელმწიფოში საქართველოს სამოციქულო ეკლესიის როლი სხვა რელიგიურ-კონფესიათა მსგავსად დამცირებულად წარმოედგინათ, მათ მიერ მიღებულმა საკანონმდებლო აქტებმა (1918წ. 13 სექტემბრის კანონით გორის, ხონის, სოხუმის სემინარიები გაუქმებულ იქნა და გამოცხადდა სახელმწიფო სკოლებად) არათუ ხელი შეუწყო სასულიერო სასწავლებლების გაეროვნულებას, არამედ პირიქით, საქართველოს სამოციქულო ეკლესიას ჩამოართვეს სასულიერო სასწავლებლების შენობები, ინვენტარი, სკოლებში გაუქმებული იქნა „საღვთო სჯულის სწავლება“... 1918 წლის 27 ივნისს მარტყოფის მონასტერში მოკლეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში სასულიერო სასწავლებლის დაფუძნების აუცილებლობა მეორე რიგის ამოცანად გადაიქცა, თუმცა ახალმა პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა ლეონიდემ 1920 წელს კვლავ აქტიურ პრობლემად მიიჩნია სასულიერო სემინარიის დაარსების საკითხი. საკათალიკოსო საბჭოს საგანგებო სხდომაზე 1920 წლის 25 იანვარს მოისმინეს დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის მოხსენება სასულიერო სემინარიისა და სამოძღვრო ინსტიტუტის შესახებ. გამოითქვა რიგი შენიშვნები წარმოდგენილ პროექტთა მიმართებაში და გადაწყდა 1921 წლის ოქტომბერში სასულიერო სასწავლებლის გახსნა.

1921 წლის 25 თებერვლის ბოლშევიკური საოკუპაციო ჯარები თბილისში შემოვიდნენ. საოკუპაციო ხელისუფლების, ოფიციალური ორგანოს „რევკომის“ 1921 წლის 15 აპრილის საგანგებო დეკრეტით საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია კანონგარეშე ორგანიზაციად გამოცხადდა... ქართული სასულიერო სასწავლებლების დაარსების საკითხი გაურკვეველი დროით გადაიდო. 1921 წლის 1-5 სექტემბერს გელათში გამართულ III საეკლესიო კრებაზე იმსჯელეს: „1. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიისათვის იურიდიული პირის სტატუსის აღდგენის, 2. თბილისში სამოძღვრო სემინარიის გახსნის, 3. სკოლებში საღვთო სჯულის სწავლების პრობლემებზე.“⁹ სამწუხაროდ, ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ არა თუ დააკმაყოფილა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მესვეურთა კანონიერი მოთხოვნები,

არამედ კიდევ უფრო გააძლიერა აგრესული ათეიზმის პროპაგანდა და ეკლესია ხალხის მტრად გამოაცხადა. საოკუპაციო ხელისუფლებასა და საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გამწვავდა უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის მიერ გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმის გამო. ასეთ ვითარებაში სასულიერო სასწავლებლის გახსნაზე მხოლოდ ოცნება შეიძლებოდა.

1927 წლის 21-27 ივნისს თბილისში გამართულმა IV საეკლესიო კრებამ, რომელმაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ქრისტეფორე (ციციქიშვილი), რომელმაც ბოლშევიკურ ხელისუფლებასთან ეკლესიის „ლოიალობისა და თანამშრომლობის კურსი“ გამოაცხადა. ხელისუფლებას მოსთხოვა სასულიერო სასწავლებლის გახსნის უფლება, მაგრამ უარი მიიღო. უნეტარესი ქრისტეფორე III 1930 წლის 15 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ფილიპე მახარაძისადმი გაგზავნილ წერილში მიუთითებდა: „მიხეილ კალინინმა 1924 წელს აღნიშნა, თუ სხვა რესპუბლიკებში აქვთ სასულიერო სასწავლებლები საქართველოშიც მივცეთ მისი გახსნის უფლება“¹⁰ მაგრამ ხელისუფლება კვლავ უარზე იყო. არცერთ საბჭოთა რესპუბლიკაში ისე არ ილახებოდა მოსახლეობის რელიგიური უფლებები, როგორც საქართველოში. XX საუკუნის 30-40-იან წლებში კიდევ უფრო მძიმე ვითარება იყო. აი, რას წერდა თავის დღიურში უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე: „ძველად სამღვდელთა იყო ინტელიგენცია მაღალი შეგნებული, მოწინავე წრე, იგი ხელმძღვანელობდა ხალხის განათლების და სხვა საზოგადოებრივ საქმესაც, ჩვენ ახლა ხალხს ვესაჭიროებით მხოლოდ საეკლესიო წესების ასრულებისათვის, მთავარია როგორმე სიცოცხლე შევინარჩუნოთ, როგორმე ეკლესიები დანგრევას გადავარჩინოთ, როგორმე სარწმუნოება შევინახოთ“¹¹ ასეთ პირობებში სასულიერო სემინარიის გახსნაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა.

1952-1960 წლებში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი მელქისედეკ III ამ დროს ძველი თაობის სასულიერო პირები თანდათან ტოვებდნენ ასპარეზს, ახლების მოსამზადებლად აუცილებელი იყო სასულიერო სასწავლებელი. უწმიდესმა მელქისედეკ III-ემ 1956 წლის 2 ივლისს საგანგებო წერილით მიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიის საქმეთა რწმუნებულს მოსე მექვაბიშვილს. „პატივისცემით მოგახსენებთ, რომ საქართველოს ეკლესიას მღვდლების, კანდიდატების მომზადებისათვის სკოლა არ აქვს. ამიტომ გთხოვთ გვიშუამდგომლოთ მთავრობის წინაშე რომ მოგვცეს ნება სიონის ტაძართან გავხსნათ უვადო კურსები მღვდლების კანდიდატების მოსამზადებლად. ამასთან საჭიროა მოგვეცეს ნებართვა, რომ ეკლესიებში კედელზე გავაკრათ განცხადება კურსების გახსნის შესახებ და მოვუწოდოთ მსურველებს განუცხადონ თავიანთი სურვილი კურსების გამგეს. სასწავლო საგნები იქნება: 1. საეკლესიო კითხვა-გალობა, 2. საღმრთო წერილის კითხვა, 3. ღვთისმსახურება, 4. საეკლესიო ისტორია, 5. ქადაგება, 6. საეკლესიო საქმის წარმოება“¹² საქართველოს სამოციქულო ეკლესიისათვის სასულიერო სემინარიის და არა კურსების გახსნის აუცილებლობაზე საუბარი 1957 წლის 12 თებერვალს ზაგორსკიდან სასულიერო აკადემიის სტუდენტის ილია შიოლაშვილის წერილში უწმიდესისა და უნეტარესის მელქისედეკ III-სადმი. „თქვენო უწმიდესობაჲ! საბჭოთა კავშირის მთავრობის

სათანადო დადგენილების საფუძველზე რუსეთის, უკრაინის, სომხეთისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში არსებობს სემინარია-აკადემიები, ხდება ღვთისმსახურებისათვის სათანადო ლიტერატურის გამოცემა, ხატების გამრავლება, ეკლესია-მონასტრების აღდგენა-განახლება. საქართველოს ეკლესიას თუ უპირატესობა არა აქვს, გამონაკლისს მაინც არ წარმოადგენს, მხოლოდ საჭიროა ამ იურიდიული უფლების ადგილობრივი მთავრობის მეშვეობით გამოყენება¹³ ოფიციალური ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა საქმის ვითარება ისე წარმოეჩინა თითქოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურნი არ იყვნენ მზად სასულიერო სასწავლებლის გახსნისათვის და მთავრობის წინადადებაზე უარით პასუხობდნენ. ამ აზრს ხელისუფლება ინტელიგენციაშიც ავრცელებდა, რასაც ადასტურებს უწმიდესი და უნეტარესი მელქისედეკ III-ის წერილი საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, ცნობილი მსახიობის აკაკი ხორავასადმი. „თქვენ რეჟისორ შოთა მანაგაძისადმი გითქვამთ-წერდა მისი უწმინდესობა-ამბობენ რომ პატრიარქი მელქისედეკი სასულიერო სკოლის გახსნისა და სასულიერო ჟურნალის გამოცემის წინააღმდეგიაო, არა ბატონო აკაკი, ამას ტყუილად ავრცელებს ჩემი მტრები: უნდა მოგახსენოთ, რომ ამ საქმეზე ორჯერ შევიტანე განცხადება მთავრობაში, პირველად მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სახელზე. 1956 წლის აგვისტოში, მეორედ 1957 წლის 15 მარტს. განცხადებით მივმართე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვ. მჟავანაძეს, საქართველოს სსრ რელიგიის საქმეთა რწმუნებულს მ. მექვაბიშვილს, მოსკოვში რელიგიის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს კარპოვს. პასუხს არ იძლევიან თუ დაგვეხმარებით მადლობელნი ვიქნებით“¹⁴ სამწუხაროდ ვერც უწმიდესმა და უნეტარესმა მელქისედეკ III მოახერხა მთავრობის დაყოლიება სასულიერო სემინარიის გახსნისათვის ნებართვის მიცემაზე.

თავი I. მცხეთის სასულიერო სემინარია

1960 წლის 20 თებერვალს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მე-10 საეკლესიო კრებამ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია ბათუმ-შემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ეფრემი (სიღამონიძე), ეფრემ II-ის სახელწოდებით. უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II თბილისის რუსული სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული, 1918-1922 წლებში სწავლობდა თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, მან როგორც ინტელექტუალმა პირველ იერარქმა კარგად იცოდა განათლების ფასი და მნიშვნელობა. იგი პატრიარქად აღსაყდრების პირველივე დღეებიდან შეუდგა სასულიერო სემინარიის გახსნისათვის მთავრობის ნებართვის მიღებისათვის ბრძოლას. XX საუკუნის 60-იანი წლები ერთ-ერთი ურთულესი ხანა იყო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიისათვის, საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ნიკიტა ხრუშჩოვის ხელმძღვანელობით მიზნად ისახავდა „კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პირობებში“ საბჭოთა კავშირის მასობრივი ათეიზმის ქვეყნად გადაქცევას. ახალი ძალით გაჩაღდა შეტევა ეკლესია-მონასტრებზე, გაიზარდა სასულიერო პირთა გადასახდელი თანხა (ე.წ. „ნალოგები“), განახლდა სასულიერო პირების თვალ-თვალი. უწმიდესი ეფრემ II მწერალ იპოლიტე ვართგავასადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა: „დღეს უფრო მძიმე მდგომარეობაში ვიმყოფებით, ვიდრე კათოლიკოს-პატრიარქების კალისტრატეს ან მელქისედეკის დროს იყო. აქ ყველაფერს ვერ დავწერ გასაგები მიზეზების გამო, ძალიან გართულებულ გარემოცვაშია ჩვენი ეკლესია.“¹⁵

უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II გრძნობდა თუ სასწრაფო ზომებს არ მიიღებდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას ელემენტარული სასულიერო განათლების დვთისმსახურნი აღარ ეყოლებოდა „აი, ყველა მოხუცებულები მივიღვართ და შემცვლელი აღარავინ რჩება... რაზე გაურბის ქართველი ერი თავის მშობლიურ ეკლესიას და საყვედურით ეკიდება? განა იმიტომ, რომ ღვაწლი მიუძღვის სამშობლოსა და ერისადმი?“ აღნიშნავდა იგი. უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II არაერთხელ მიმართა საერო ხელისუფლებას და მოითხოვა სასულიერო სასწავლებლის გახსნის ნებართვა. ამის შესახებ იგი მოგვითხრობს რელიგიის საქმეთა რწმუნებულის ა. შალუტაშვილისადმი გაგზავნილ წერილში: „დაახლოებით თერთმეტი თვის შემდეგ ჩემი კათოლიკოს-პატრიარქად არჩევისა 1960 წლის 8 დეკემბერს განვიზრახე განცხადებით შევსულიყავი უმაღლეს მთავრობაში, ამ ნაბიჯის გადადგმას მავალდებულებდა სინდისი, სარწმუნოება, ჩემი ერის სიყვარული და მათ წინაშე ჩემი პასუხისმგებლობის შეგრძნება. უფრო ახლო გავეცანი რა საქართველოს ეკლესიის იმდროინდელ სინამდვილეს, ვცანი, რომ თუ ასე გაგრძელდებოდა მისი სამწუხარო მდგომარეობა კატასტროფას ვერ გადაურჩებოდა... განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში იყო დვთისმსახურთა რაოდენობა, ეს საკითხი დღეს, ლოდივით დგას ქართულ ეკლესიის გულზე და დღესაც საფრთხეს უმზადებს მას. 1962 წლის 3 ივლისს მომეცა შესაძლებლობა მქონოდა აუდენცია საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ბატონ გივი ჯავახიშვილთან. ჩემი პირადი მოხსენების შემდეგ მან ბრძანა – რახან არსებობს ეკლესია მას უნდა ჰქონდეს სასწავლებელიც და გამომცემლობაცო. ამას ისმენდა ჩემს გვერდით მჯდომი მაშინდელი რელიგიის საქმეთა რწმუნებული ბატონი მოსე მექვაბიშვილი, მაგრამ პრაქტიკულად არაფერი არ გაკეთებულა“¹⁷

1962 წლის 30 ივლისს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო იძულებული გახდა მცხეთაში სამოძღვრო კურსების გახსნის შესახებ გაეცა ნებართვა. 1963

წლის ივლისში ჩატარდა სამოძღვრო კურსებზე მისაღები გამოცდები. ჩაირიცხა 4 მსმენელი. უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ II ღოცვა-კურთხევით სამოძღვრო კრების გამგედ დაინიშნა შემოქმედელი ეპისკოპოსი ილია (შიოლაშვილი), რომელსაც უმაღლესი სასულიერო განათლება მიღებული ჰქონდა მოსკოვში, ზაგორსკის სასულიერო აკადემიაში. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიის რექტორატი წარჩინებულ კურსდამთავრებულს მღვდელ-მონაზონ ილიას სთავაზობდა აკადემიის ასპირანტურაში დარჩენას, სამშობლოს სიყვარულმა, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წიაღში მოღვაწეობის სურვილმა მას უარი ათქმევინა ყველა ამ წინადადებებზე და დააბრუნა საქართველოში. მეუფე ილიას მონდომებით სულ მოკლე დროში – 1965 წელს სამოძღვრო კურსები გადაკეთდა ეპისკოპოს გაბრიელის სახელობის მცხეთის სასულიერო სემინარიად. მეუფე ილიამ რუსეთსა და სხვა მართლმადიდებელი ქვეყნების სასულიერო სასწავლებლების სასწავლო გეგმებისა და პროგრამების ანალიზის საფუძველზე შეადგინა XX საუკუნის 60-იან წლებში პირველი ქართული სასულიერო სასწავლებლის სასწავლო გეგმა, პროგრამები. სასულიერო სემინარიაში ისწავლებოდა: ძველი და ახალი აღთქმა, ლიტურგიკა, საქართველოს ეკლესიის ისტორია, ხუცური, სლავური, კატეხიზმო, საეკლესიო გალობა, ჰომილეტიკა, ძირითადი ღვთისმეტყველება, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, საღმრთო წერილი, ბერძნული ენა. სასწავლებლის პირველი პედაგოგები იყვნენ: ეპისკოპოსი ილია (შიოლაშვილი), დეკანოზი, მელქისედეკი (ხელიძე), ილია ჭეიშვილი, თაისი ტორონჯაძე. რთული იყო პირველი წლები. არ არსებობდა სახელმძღვანელოები, დამხმარე ლიტერატურა, ბიბლიოთეკა, პრობლემები იყო დაფინანსების მხრივ, ოფიციალური ხელისუფლების ეკლესიისადმი მაკონტროლებელი ორგანო, რელიგიის საქმეთა რწმუნებულის აპარატი ცდილობდა ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდების დაშინებას, რათა მათ ხელი აეღოთ სასულიერო სასწავლებლებში სწავლაზე. მიუხედავად ამ სიძნელეებისა მცხეთის სასულიერო სემინარიამ მისი რექტორის, მეუფე ილიას ღვაწლითა და თავდადებით მოახერხა არსებულ პრობლემათა გადალახვა და სემინარიას დამსახურებული ავტორიტეტი მოუპოვა. მეუფე ილია სასულიერო სემინარიის პედსაბჭოს სხდომებზე დასასწრებად უწმიდესსა და უნეტარეს ეფრემ II-საც იწვევდა ხოლმე. 1964 წლის 28 დეკემბერს მეუფე ილიამ უწმინდესს ეფრემ II ასეთი წერილი გაუგზავნა: „თქვენო უწმინდესობავ, გვაკურთხეთ, ზეგ საშობაოდ ვითხოვთ სტუდენტებს. ხვალ 12 საათზე ვფიქრობთ პედსაბჭოს მოწვევას. ჩვენთვის მეტად სასიამოვნო იქნება თუ ჩამობრძანდებით და დაესწრებით“¹⁸. უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II სშირად სტუმრობდა სასულიერო სემინარიას, იცნობდა ყველა სტუდენტს, ამხნევებდა და მხარს უჭერდა წარჩინებულ სტუდენტებს. მომდევნო წლებში სემინარიაში ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა გაიზარდა 4-დან 10-მდე. თითოეულ კურსზე იყო 10 სტუდენტი. ასეთ ვითარებაში აუცილებელი გახდა სასწავლებლის ახალ უფრო დიდი ფართის შენობაში გადასვლა. მეუფე ილიას ღვაწლით სემინარიამ სამთავროს მონასტრის ეზოში გადაინაცვლა. მეუფე ილიას მონდომებით საერო ხელისუფლებისაგან მკაცრი კონტროლის მიუხედავად მოხერხდა სემინარიაში საერო უმაღლესი სასწავლებლებიდან გამოჩენილ მეცნიერთა მოწვევა. ამით მცხეთის სასულიერო სემინარია გადაურჩა თავის თავში ჩაკეტვას. ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლებს განსაკუთრებით აფრთხობდათ სემინარიაში

ჩაბარების სურვილს თუ გამოთქვამდა საერო უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული.

XX საუკუნის 60- იან წლებში ხელისუფლების ოფიციალური გაზეთები: „კომუნისტი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“ მკაცრად აკრიტიკებდნენ გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ხელმძღვანელობას, გორის განათლების განყოფილებას იმის გამო, რომ ამ ინსტიტუტის ქართული ფილოლოგიის სპეციალობის კურსდამთავრებულმა, ერთხანს საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა მირიან იორამაშვილმა (მთავარეპისკოპოსი თადეოზი) რატომ გადაწყვიტა სასულიერო სემინარიაში სწავლის გაგრძელება. რელიგიის საქმეთა რწმუნებულები ესწრებოდნენ სასულიერო სემინარიაში მისაღებ გამოცდებს, ისინი დაწვრილებით სწავლობდნენ თითოეული აბიტურიენტის პირად საქმეს. აი რა ჩანაწერი გაუკეთებია რელიგიის საქმეთა რწმუნებულს 1980 წელს გამოცდების დასასრულს: „სამწუხაროდ წინა წლებთან შედარებით სემინარიაში მოსული კონტიგენტი ამჟამად გაცილებით მომზადებული აღმოჩნდა, მათ შორის არიან უმაღლეს სასწავლებელ დამთავრებულებიც“¹⁹

ოფიციალური ხელისუფლებისათვის უფრო სასურველი იყო, თუ სასულიერო სემინარიაში საეკვო წარსულის მქონე ადამიანები ჩაირიცხებოდნენ მათი დაშანტაჟება და მართვა უფრო ადვილი იქნებოდა. სასულიერო სემინარიის რექტორი მეუფე ილია ფხიზლად ადგნებდა თვალყურს სასწავლო პროცესს, გამორჩეულ სტუდენტებს კი საგანგებო რეკომენდაციით სწავლის გასაგრძელებლად აგზავნიდა მოსკოვსა და ლენინგრადის სასულიერო აკადემიებში. პედსაბჭოს სხდომებზე იხილავდა სასწავლო პროცესის სრულყოფის საკითხებს, სემინარიის პედაგოგებს აძლევდა ლოცვა-კურთხევას შეედგინათ სტუდენტებისათვის სასწავლო კურსების მოკლე კონსპექტები, ესწავლებინათ მათთვის რეფერატების, სადიპლომო ნაშრომების მომზადება, წიგნზე მუშაობის ჩვევები. სასულიერო სემინარიაში პედაგოგთა ხელფასი არ იყო დიდი, მაგრამ ბევრი მათგანი ენთუზიაზმით მაინც მუშაობდა. მცხეთის სასულიერო სემინარიაში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ: არქიმანდრიტი რაფაელი (კარელინი), დეკანოზი ვიქტორ შალამბერიძე, გური შალამბერიძე (მიტროპოლიტი გიორგი). დეკანოზი არსენ ბერუაშვილი, მღვდელი ანტონ შიოშვილი (მიტროპოლიტი ზოსიმე), არქიმანდრიტი სოკრატ ჭულუხაძე, მღვდელი ნიკოლოზ მახარაძე (მიტროპოლიტი ნიკოლოზი), დეკანოზი მელქისედეკ ხელიძე, ნატალია ნარიმანიძე, სერგო თორელი, ჯუნა ბალუაშვილი, გიორგი ცინცაძე, თენგიზ ზალდასტანიშვილი, ელზა ჩეჩელაშვილი, გაიოზ კერატიშვილი, თაისი ტორონჯაძე, თამარ მესხი, გიორგი ეძგვერაძე და სხვები.

1970 წლის 6 აპრილს მცხეთის სასულიერო სემინარიაში ხანძარი გაჩნდა. როგორც სასულიერო სემინარიის მაშინდელი ზედამხედველი არქიმანდრიტი სოკრატე (ჭულუხაძე) აღნიშნავდა: ამა წლის 6 აპრილს მცხეთის სამთავროში, სადაც არის მცხეთის დედათა მონასტერი და მცხეთის სასულიერო სემინარია, დამით კელიაში უჩვეულო ხმამ გამოძაღვიდა: ხმაური თანდათან ძლიერდებოდა.

სასწარაფოდ წამოვდექი შუქის ასანთებად, მაგრამ არ იყო. ჩუსტებში ფეხებ- წაყოფილმა, ანაფორა წამოვისხი და გარეთ გამოვედი, შუქი შევნიშნე.

გავაღე დერეფნის კარები, სადაც კვამლი იყო დაგუბებული და ბოლო ნაწილში საერთო საცხოვრებლის და მესამე კურსის გამოსასაველეთან ჭერს და შუშაბანდს ცეცხლი ეკიდა.

შეშინებულმა ყვირილი ავტეხე სტუდენტების მისამართით. წყალობა ჭულუხაძე გამოვარდა ფეხშიშველი და ჩაუცმელი; რა ნახა ეს საშინელი სურათი უკან შეიჭრა სტუდენტების გასაღვიძებლად და ისევ სწრაფად, ასევე ჩაუცმელმა, გადმოასწრო ცეცხლს. მას უკან მოჰყვა გივი მაისურაძე, ცეცხლთან შეჩერდა და ისევ უკან გაბრუნდა, რადგან გამოსვლა უკვე სახიფათო იყო. ძლივს გამახსენდა იქვე მდებარე ტელეფონის ყურმილი დასახმარებლად უაზროდ ვიძახდი მომხდარ ამბავს.

ეს მოხდა 12 საათსა და 20-25 წუთზე. მეორეჯერ ავიღე ყურმილი და მიპასუხეს, რომ სახანძრო რაზმისათვის უკვე შეტყობინებული ჰქონდათ. ცეცხლი სწრაფად მოჰყვებოდა დერეფნის გასწვრივ. მე გავიქეცი საერთო საცხოვრებლის ჩრდილოეთ მხარეს, სადაც უკვე ჭულუხაძე წყალობას მეორე სართულის ფანჯარასთან კიბე მიედგა; საიდანაც დაბლა საფეხურზე ალადაშვილი თეიმურაზი და ჯიოევი გიორგი, ხოლო ძირს შენგელია ამირანი გადმომხტარიყვნენ. აქედან ქვედა სართულში მონაზვნებთან დასახმარებლად გაქცეულ ჭულუხაძე წყალობას ფეხი დაზიანებოდა, რის გამოც მოქმედება აღარ შეეძლო; მან მაცნობა, რომ სტუდენტები ყველა გადარჩენილები იყვნენ. ჭულუხაძე წყალობა ცალფეხზე მდგომი ეკლესიასთან ჩავიყვანე, სტუდენტებს კი დედები გამოჰყავდათ კელიებიდან მიუხედავად იმისა, რომ ცეცხლი ამ დროს უკვე მთელს შენობას მოღებული ჰქონდა, სტუდენტთა უმრავლესობა არ დაბნეულა და ვიდრე სახანძრო რაზმი მოვიდოდა შენობის ქვედა სართულიდან ბევრი რამ გამოზიდეს. სახანძრო რაზმის დახმარებით შესაძლებელი გახდა სასწავლო ოთახებიდან გადარჩენილ წიგნებისა და ხატების გამოტანა, რომელშიაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს: გ. სვანაძემ, გ. ჯიოევი და ა. შენგელიამ; შემდეგ კი ბიბლიოთეკის ფანჯრიდან მოხვდა წიგნების გამოზიდვა, სადაც უკვე ზემოდან კუთხით ცეცხლი იყო ჩასული.

ცეცხლი ისე იყო გაძლიერებული სახანძრო რაზმის მოხვლამდე, რომ თუმცა მათი აქტიური მოქმედებისა დილის ექვს საათამდე ვერ მოხერხდა მისი სრული ჩაქრობა, ამ მოულოდნელმა ხანძარმა ისეთი თავზარი დაგვცა, რომ ყველა პირველ რიგში თავისა და ურთიერთგადარჩენას ვფიქრობდით და მიზანს რომ მივადწიეთ შემდეგ კულტურულ და მატერიალურ დოვლათის გადარჩენის ზრუნვას შევუდექით, ზარალი დიდი იყო, მაგრამ მთელი ღამის დაუღალავი ბრძოლით ბევრი რამ დოვლათი გადარჩა“.

მცხეთის სასულიერო სემინარიის შენობის ხანძრისაგან განადგურებამ დიდი პრობლემები შეუქმნა ისედაც მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მქონე სასწავლებელს, უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II სემინარიის რექტორის მიტროპოლიტ ილიასადმი გაგზავნილ წერილში გულისტკივილით წერდა, რომ ამ განსაცდელისათვის ღირსეულად უნდა გაეძლოთ, სასწავლო პროცესი არ უნდა შეწყვეტილიყო და განეგრძოთ სვეტიცხოვლის ეზოში არსებულ შენობაში, ამასობაში უნდა დაეწყოთ აღდგენითი სამუშაოები. მეუფე ილიას თავდადებულმა შრომამ და ღვაწლმა სემინარიის მუშაობის რიტმი არ დაარღვია, პარალელურად დაიწყო სახანძრალი შენობის რესტავრაცია. სასულიერო სემინარიამ თვალსაჩინო ადგილი დაიკავა საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში. მისი წარმატება-წინსვლა ბევრს აღიზიანებდა კიდევ, რამაც აიძულა მიტროპოლიტი

ილია 1972 წლის 26 მაისს პირადი განცხადების საფუძველზე გადამდგარიყო სასულიერო სემინარიის რექტორის თანამდებობიდან. გულისტკივილი იმდენად დიდი იყო, რომ ეს ჩანდა მის მიერ შედგენილ გადადგომის განცხადებაშიც „როგორც მოგახსენებთ-მიმართავდა მიტროპოლიტი ილია წმინდა სინოდს – 1963 წლიდან მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ II-ის დიდი შრომითა და მეცადინეობით, მცხეთაში გაიხსნა სასულიერო სემინარია, რომლის ხელმძღვანელად ვიყავი დანიშნული. ეს იყო ახალი დიდი საქმე, რომელსაც სჭირდებოდა დიდი ენერჯია და გამოცდილება, არც მე და არც მასწავლებლები არ ვიშურებდით ძალას სემინარიის გაძლიერებისა და წინსვლისათვის. ამ წლების განმავლობაში შევხვდით ბევრ წინააღმდეგობასა და სიძნელეს. მიუხედავად ამისა, ჩვენ შევძელით სასწავლებელი მყარ ნიადაგზე დაგვეყენებინა. არ ვუარყოფ იმას, რომ სემინარიის კურსდამთავრებულთაგან ყველამ ვერ გაამართლა ჩვენი იმედები და ვერ გამოიჩინა მოძღვრის მაღალი თვისებები. მიუხედავად ზოგიერთი არასასურველი ფაქტისა, ჩვენ ვხედავთ, რომ კურსდამთავრებულთა უმეტესი ნაწილი თავდადებულად ემსახურება საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ტაძრებს. გულისტკივილით უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ცხრა წლის განმავლობაში, დახმარების ნაცვლად მესმოდა მხოლოდ კრიტიკა“²⁰.

1972 წლის 26 მაისიდან ივნისამდე მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორს მოვალეობას ასრულებდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი დავით V. 1972 წლის ივნისიდან 1977 წლის დეკემბრის ბოლომდე მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი იყო წილკნელი მიტროპოლიტი გაიოზ (კერატიშვილი). ამ დროს სემინარიისათვის მთავარ პრობლემად რჩებოდა სათანადო შენობის არ არსებობა, მწირი დაფინანსება, ოფიციალური ხელისუფლებისაგან რეგლამენტირებული კონტრაქტი (10 კაცზე მეტის მიღება არ შეიძლებოდა). 1978 წელს სემინარიის რექტორი იყო მღვდელი გიორგი შალამბერიძე, 1979-1980 წლებში მთავარეპისკოპოსი თადეოზი (იორამაშვილი), 1980-1984 წლებში მიტროპოლიტი დავითი (ჭკადუა), 1984-1988 წლებში ეპისკოპოსი ზოსიმე (შიოშვილი). საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ეპარქების აღორძინებამ საშუალება მისცა სემინარიის ხელმძღვანელობას სტუდენტთა პრაქტიკები წარემართა ეპარქიებში. ასეთი გასვლები მოხდა ქუთაის-გენათის, ალავერდის, ჭყონდიდის ეპარქიებში. 1988 წლის 19 მარტს პირველად საბჭოთა კავშირის დროს ოფიციალურმა სახელისუფლებო გაზეთმა „კომუნისტმა“ დაბეჭდა ინტერვიუ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ უწმიდეს და უნეტარეს ილია II-სთან. უწმიდესი და უნეტარესი გაზეთის კორესპონდენტის „რა მდგომარეობაა სასულიერო კადრების აღზრდა მომზადების მხრივ“ პასუხობს: „მღვდელთმსახურთა მომზადების საქმეს დღეს ემსახურება წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის მცხეთის სასულიერო სემინარია. სემინარია პანსიონატის ტიპისაა, სწავლება სამწლიანია. აქ მიიღებიან საშუალო და უმაღლესი განათლების მორწმუნენი. მღვდლისათვის პრაქტიკულად აუცილებელი საგნებია: ძველი და ახალი აღთქმის, **ლიტურატიკის**, ჰომილეტიკის, ძველი ქართული ენისა და ლიტურგიკის გარდა ისწავლება ეგზეგეტიკა, დოგმატური და ძირითადი ღვთისმეტყველება, ზოგადი და საქართველოს ისტორიები, რელიგიისა და ფილოსოფიის ისტორია, ბერძნული, სლავური, ინგლისური ენები და სხვა საგნები. სემინარიის საუკეთესო სტუდენტები ცოდნის

გასადრმავებლად იგზავნებიან სხვა ავტოკეფალურ ეკლესიათა უმაღლეს სასულიერო სასწავლებლებში. ამჟამად ჩვენი სტუდენტები სწავლობენ მოსკოვში, ლენინგრადში, ათენში. 1987 წელს მცხეთის სასულიერო სემინარია მართლმადიდებელი ახალგაზრდების საერთაშორისო გაერთიანების - სინდესმოსის წევრი გახდა. სემინარიის სტუდენტები უკვე იღებენ მონაწილეობას სინდესმოსის კონფერენციებში და სხვა ღონისძიებებში, მომავალში დაგეგმილი გვაქვს დელეგაციების გაცვლა²¹

უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის პატრიარქად აღსაყდრებისთანავე აქტიურად შეუდგა მცხეთის სასულიერო სემინარიის წინაშე არსებული პრობლემების მოგვარებას. მის უწმიდესობას, როგორც ცნობილ თეოლოგსა და მეცნიერს კარგად ესმოდა, რომ სასულიერო სემინარია უფრო აქტიური სამეცნიერო-შემოქმედებით საქმიანობით წარმოჩენილიყო საზოგადოების წინაშე, რათა დაემსხვრიათ კომუნისტური იდეოლოგიური პროპაგანდით საზოგადოების გარკვეული ნაწილის სკეპტიციზში სასულიერო განათლების მიმართ: უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს-კათოლიკოს პატრიარქ ილია II-ის პატრიარქად აღსაყდრებისთანავე შეუდგა სასულიერო აკადემიის დაარსებისათვის პირობების მომზადებას. 1977-1988 წლებში მან ხელისუფლებისადმი გაგზავნილ წერილებში დაუინებით მოითხოვა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიისათვის სასულიერო აკადემიის გახსნის ნებართვა.

თავი III თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

XX საუკუნის 20-70- იან წლებში რუსეთის ეკლესიას ჰქონდა ორი სასულიერო აკადემია, სომხურ სამოციქულო ეკლესიას ერთი. საერო ხელისუფლება თავს იკავებდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიისათვის სასულიერო აკადემიის გახსნის ნებართვის მიცემაზე. უფრო მეტიც, საერო ხელისუფლების წარმომადგენლები კულუარულ საუბრებში აღნიშნავდნენ: უწმიდესი და უნეტარესი ილია II, როგორც სწანს რეალობას მოწვევტილია, რა დროს სასულიერო აკადემიის გახსნაზე საუბარი, როდესაც ჩვენი ოფიციალური იდეალოგიის მიზანი არის, რაც შეიძლება სწრაფად გახდეს საქართველო მასობრივი ათეიზმის ქვეყანა. უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის დაუინებით მოთხოვნაზე საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები მოსკოვის უარს იმიზეზებდნენ, მოსკოვის ცენტრალური ხელისუფლება ყველაფერს საქართველოს მთავრობას აბრალედა. ასეთ ვითარებაში პატრიოტიზმისა და მოქალაქეობრივი ვაჟკაცობის მაგალითი აჩვენა საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა რწმუნებულმა ბატონმა ანზორ წიკლაურმა, რომელმაც მოსკოვში ცენტრალურ ხელისუფლებას შეატყობინა, რომ საქართველოს მთავრობა თანახმა იყო. გახსნილიყო თბილისის სასულიერო აკადემია, ხოლო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ჭითანავას მოახსენა მოსკოვის ცენტრალური ხელისუფლების თანხმობის შესახებ. 1987 წლის 25 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომაზე უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-ემ პირველი ოფიციალური განცხადება გააკეთა მომავალი, 1988 წლიდან სასულიერო აკადემიის გახსნის შესახებ. მისმა უწმიდესობამ აღნიშნა ერთი წელი სერიოზული მოსამზადებელი სამუშაო უნდა ჩატარებულიყო, რათა თბილისის სასულიერო აკადემია იმთავითვე ქართული უმაღლესი სასულიერო განათლების მნიშვნელოვან კერად გადაქცეულიყო. მისმა უწმიდესობამ ილია II-ემ წმინდა სინოდის წევრებს მოახსენა, რომ სასულიერო აკადემია უნდა დაფუძნებულიყო თბილისში, აქვე უნდა გაეგრძელებინა ფუნქციონირება მცხეთიდან გადმოტანილ სასულიერო სემინარიასაც. როგორც მიტროპოლიტი ზოსიმე (შიოშვილი) იხსენებს: „სასულიერო აკადემიის გახსნისათვის დიდხანს ვემზადებოდით, ბევრი რამ იყო მოსაწესრიგებელი და მოსაგვარებელი... 1988 წელს 1 ოქტომბერს გრილი და ღრუბლიანი დღე დადგა თბილისში. სიონის ღვთისმშობლის საპატრიარქო ტაძარში მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის მიერ სწავლის დაწყების პარაკლისი იქნა გადახდილი. ლოცვას დაესწრნენ საქართველოს ეკლესიის მღვდელთმთავრები და საპატრიო სტუმრები... ლოცვის დასრულების შემდეგ გადავინაცვლეთ სააქტო დარბაზში, რომელიც მაშინ აკადემიის შენობის პირველ სართულზე იყო საგანგებოდ მოწყობილი“²² საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-ემ. „ყოვლად სამღვდელონო მღვდელთმთავარნო, მამანო, ქალბატონებო და ბატონებო! დღეს ჩვენთვის, მთელი ქართველი ერისათვის ბედნიერი დღეა. ღვთის წყალობითა და ლოცვა-კურთხევით იხსნება თბილისის სასულიერო აკადემია. აქვე იწყებს თავის ახალ ცხოვრებას სასულიერო სემინარია. ამიტომაც ჩვენ კიდევ ერთხელ გვინდა გავიზაროთ, თუ რა არის ჩვენი მიზანი, რა გზით უნდა განვითარდეს აკადემიაში საღვთისმეტყველო მეცნიერების სწავლება.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ვეცადოთ, რომ არ მოვწყდეთ ჩვენს ფესვებს და ამავე დროს, გავითვალისწინოთ ის მოთხოვნები, რასაც გვიყენებს თანამედროვეობა. როცა წარსულზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ იმ ტრადიციებს, ჩვენს ძველ უმაღლეს სასწავლებლებში რომ არსებობდა, თბილისის სასულიერო აკადემია უნდა იყოს გელათის, გრემის, იყალთოს აკადემიათა ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი. შემთხვევითი არ იყო, რომ დავით აღმაშენებელმა უმაღლესი სასწავლებელი მონასტერთან დააარსა. ასკეტიზმი და მეცნიერება, ორივე, რჩეულთა ხვედრია და მათი შერწყმა იდიალურ პიროვნებაში ხდება. ასეთი რჩეულნი მრავლად ჰყავდა საქართველოს: პეტრე იბერი, ეფრემ მცირე, ათონელი მამები, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, მიქაელ მოდრეკილი, იოანე მინჩხი... თვით დავით აღმაშენებელი და სხვანი. შემთხვევით არ არის ისიც, რომ გელათის აკადემიას უწოდებდნენ მეორე იერუსალიმს და მეორე ათენს. იერუსალიმით აღინიშნებოდა მისი მაღალი სულიერება, ხოლო ათენით – მაღალი მეცნიერული დონე. გელათის აკადემია იყო ის ცენტრი, სადაც იხვეწებოდა და მუშავდებოდა ლიტერატურულ-ფილოსოფიური აზროვნება და ტერმინოლოგია. აქ ითარგმნებოდა არამარტო ცნობილი ღვთისმეტყველთა და ფილოსოფოსთა ნაშრომები, არამედ ანტიკური ფილოსოფიის რჩეული ნაშრომებიც, იწერებოდა ორიგინალური შრომები. რწმენის ასამაღლებლად განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ლოგიკასა და ფსიქოლოგიის სწავლებას, არ ცხრებოდა საღმრთო წერილზე ეგზეგეტიკური მუშაობა. ასეთი უნდა იყოს ჩვენი გახეითიც და ამავე დროს, უნდა გავითვალისწინოთ ის პირობები, რომელიც დღეს დგას ჩვენი ერისა და კაცობრიობის წინაშე. თბილისის სასულიერო აკადემია უნდა იქცეს დამაკავშირებელ ხიდად თანამედროვე მეცნიერებასა და ღვთისმეტყველებას შორის. როგორც მოგეხსენებათ, ამ საუკუნეში ბევრი ცდილობდა რწმენა და მეცნიერება გაეთიშა და დაეპირისპირებინა ერთმანეთისათვის. განა შეიძლება მეცნიერება და რწმენა დაუპირისპირდეს ერთმანეთს? ისინი ხომ ადამიანის შემოქმედებით აზროვნების სრულიად განსხვავებულ სფეროებს მოიცავენ: ერთი ფიზიკურს, მეორე სულიერს... ისინი კი არ ეწინააღმდეგებიან, არამედ ავსებენ ერთმანეთს.

მეცნიერება ღვთისაგან ნაკურთხია. იგი ადამიანის როგორც ღვთის ხატების მიღწევაა. ოღონდაც ყოველნაირად უნდა ვეცადოთ, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ამ მეტად რთულ დროს სწორი მიმართულება და გამოყენება მივცეთ ადამიანის გონების ნაყოფს, უნდა ვეცადოთ, რომ მეცნიერულმა წინსვლამ ხელი არ შეუშალოს პიროვნების სულიერ განვითარებას. აკადემიაში უნდა მიმდინარეობდეს არა მარტო მომავალი განათლებული სასულიერო პირების მომზადება, არამედ ეს სასწავლებელი უნდა იქცეს კვლევის ცენტრად, რომელთანაც დაკავშირებულნი იქნებიან, როგორც ჩვენი სასულიერო პირები, ისე მეცნიერები; კავშირი გვექნება, როგორც ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებთან, ისე მართლმადიდებლურ და საერთოდ, ქრისტიანულ უმაღლეს ცენტრებთან. მინდა ჩემი სიტყვა დავამთავრო სოლომონ ბრძენის გამოთქმით: „დასაწყისი სიბრძნისაი არს შიში ღმრთისა... გულსა შინა სახიერისა კაცისასა განისვენებს სიბრძნე“. ყველას გილოცავთ ამ ბედნიერ დღეს. ღმერთმა რწმენა, სიყვარული, სიბრძნე და სიხარული არ მოუშალოს ჩვენს ერს. ღმერთმა დალოცოს თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პროფესორ-მასწავლებლები და მოსწავლენი. ჩვენთან არს ღმერთი“²³ უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საპროგრამო სიტყვის შემდეგ გამოვიდა თბილისის

სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი ეპისკოპოსი ზოსიმე (შიოშვილი), რომელმაც მოკლედ მიმოიხილა საქართველოში სასულიერო განათლების ისტორია. აღნიშნა, რომ 1988 წლის 1 ოქტომბერს დიდ ეროვნულ საქმეს ეყრება საფუძველი „ჩვენ კარგად გვესმის ის სიძნელებები, რომელიც ეკლესიამ გადაიტანა წარსულში და რამაც უარყოფითად იმოქმედა სწავლა-განათლებაზე. ამას თუ იმასაც დაეუმატებთ, რომ განვიცდით სასულიერო ლიტერატურის ნაკლებობას, ურომლისოდაც ძნელია სტუდენტის სულიერი განვითარება და აგრეთვე ისიც, რომ საღვთისმეტყველო ლიტერატურა ქართულ ენაზე ბევრი არ არის, გასაგები გახდება ყოველივე ზემოთქმული. ღვთისმეტყველების განვითარება თავის მხრივ ითხოვს საღვთისმეტყველო ლიტერატურის შესწავლას, თარგმანსა და გამრავლებას. საღვთისმეტყველო თხზულებებზე მუშაობა, ბუნებრივია, საჭიროებს სათანადო საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის შექმნას, რაც სამწუხაროდ დღემდე არ გაგვაჩნია. ნებისმიერი საკითხის დამუშავებისას აუცილებელია საღვთო წერილის გამოყენება. საჭირო გახდა მისი გადახედვა, ტექსტის დაზუსტება, შესწორება და გამოცემა. დაგროვდა მთელი რიგი საკითხები, რომელნიც ჩვენში მხოლოდ უმაღლეს საღვთისმეტყველო სკოლას უნდა გადაეწყვიტა. ასეთ სკოლად დავისახეთ უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი – აკადემია, რომელმაც ჩვენში, აგერ უკვე რამდენიმე საუკუნეა, შეწყვიტა არსებობა – ეს იყო ერთ-ერთი უდიდესი ამოცანა, რომელიც კი ოდესმე ქართულ ეკლესიას დაუსახავს გადასაწყვეტად. დასაწყისში ჩვენ ეს ამოცანა გვაშინებდა და გვაკრთობდა. ვერ წარმოგვედგინა, ჩვენს პატარა სასულიერო სემინარიაზე დიდი აკადემია როგორ უნდა აგვეშენებინა. თავის დროზე ბევრს არ სჯეროდა ამის განხორციელება, ზოგს ეს შეუძლებლად მიაჩნდა და აი, სწორედ ამ შიშისა და გაურკვეველობის უამს გაცხადდა ღვთაებრივი ჭეშმარიტება, რომ „კაცთათვის შეუძლებელი ღვთისთვის შესაძლებელი არს“. ჭეშმარიტად სურდა უფალს ქართული აკადემიის დაარსება. ამას გრძნობდა საქართველოს ეკლესიის მეთაური, კათოლიკოს-პატრიარქი, ილია, რომელმაც ეს დიდი რწმენა ჩვენც ჩაგვიწერა და დასახული მიზნის მისაღწევად აგვახოქმედა.

და აი დადგა დღე, როცა ჩვენი ხალხის დიდი ოცნება რეალურად იქცა... დღეს არ შეიძლება არ გავიხსენოთ ისინი, რომელნიც წარსულში სწავლა-განათლების საქმისათვის იღვწოდნენ და დაშვრნენ. ისინი ვერ შეესწრნენ დღევანდელი ჩვენი სიხარულის დღეს. მაგრამ გვჯერა, რომ ქართული აკადემიის ჩამოყალიბებით გამოწვეულ ჩვენს დიდ სიხარულს თავიანთ ზეციურ სიხარულს შეუერთებენ და ამ სასწავლებელს არ მოაკლებენ უხილავ მეოხებასა და სიყვარულს... თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორატის სახელით, მინდა სასწავლო წლის დაწყება მივულოცო პედაგოგ-მასწავლებლებს და სტუდენტებს. ყველას გისურვებთ დიდ სულიერ სიხარულსა და წარმატებებს. განსაკუთრებით მინდა მივმართო სასულიერო აკადემიის სტუდენტებს: ფეხბედნიერი ყოფილიყავით, გისურვებთ წარმატებებს“²⁴

მრავალმხრივ საინტერესო იყო მისაღმება, რომელიც წარმოსთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა რწმუნებულის მოადგილემ ილია რურუამ, მან აღნიშნა „სიტყვა „აკადემია“ ქართველ კაცს ძველთაგანვე გაცნობიერებული ჰქონდა მთელი თავისი შინაარსით, რადგან ჩვენი ხალხი ხანგრძლივი და სახელოვანი ისტორიის მანძილზე არ გვეულება არც ერთი დიდმნიშვნელოვანი ხანა, რომ არ გვექონდა მსაგვისი კერები, ვითარცა დასტური ერის მრავალკულტურობიდან გამომდინარე აუცილებლობისა,

სამწუხაროდ, ჩვენი ცხოვრება ხშირად ისე მიემართებოდა, რომ ბევრი მათგანის შუქი ჩაგვიქრო მტრების აურაცხელმა მოძალებამ. ეს უბედურება პირველ რიგში თავზე ატყდებოდა სასულიერო განათლების კერებს როგორც, საკუთრივ საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ მდებარე სავანეებში... და აი, დღეს თქვენთან ერთად განვიცდით დიდ სიხარულს იმის გამო, რომ ქართულ ეკლესიას შესაძლებლობა მიეცა კვლავ გაიღვივოს ასეთი კერა, ამიერიდან ჰქონდეს საკუთარი აკადემია... არც თუ ისე დიდხნის წინათ მისი გახსნის საკითხის უბრალოდ დაყენებაც კი შეუძლებლად ითვლებოდა. არადა, ჩემი სამსახურეობრივი მდგომარეობით კარგად ვიცი, რომ საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის დღევანდელი საჭეთმყრობელი კათოლიკოს-პატრიარქის მაღალ ტახტზე აბრძანების პირველი დღეიდანვე სხვა მრავალ კეთილ განზარახულობებთან ერთად ესწარფვოდა ამას... ჩვენი რესპუბლიკის განსაკუთრებული მდგომარეობა, მისი ეროვნული შემადგენლობის სიტყველ სასულიერო პირებისაგან მოითხოვს არამარტო საკუთარი ერის ისტორიის, სასულიერო საკითხის ზედმიწევნით ღრმა ცოდნას, არამედ პიროვნების დონემდე ამადლებასაც, რათა საკუთარი საქმის დაფიქრებული, ტაქტიანი წარმართვით ადგილზე არ გამოიწვიონ რაიმე გაუგებრობანი და გართულებანი სხვა ეროვნებებისა და რელიგიური რწმენის ადამიანთან ურთიერთობისასა.

მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან პრობლემად გვესახება ჩვენი ეკლესიის სახისა და დონის წარმოჩენა სასულიერო მოღვაწეობის ასპარეზზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ყველანი ვხედავთ, თუ რაოდენ გაიზარდა რელიგიური ცენტრების კავშირ-ურთიერთობანი მთელი მსოფლიოს მასშტაბით. შეუძლებელია კმაყოფილებას არ გვეგრიდეს ის, რომ ასე მოხშირებულ სხვადასხვა მასშტაბის შეკრებებზე საქართველოს ეკლესიის სიტყვაც ისმის. ამაში, და ეს აუცილებლად უნდა ითქვას განსაკუთრებული როლი მიუძღვის ბატონ ილიას პიროვნებას, იმასაც მოგახსენებთ, რომ საქართველოს ეკლესიის ავტორიტეტის წარმოჩენის ტვირთი ჯერჯერობით მთლიანად კათოლიკოს-პატრიარქისა და ორიოდ მღვდელმთავრის მხრებზე გადადის, სხვები კი ხშირად გასაგები მიზეზების გამო, ჩრდილში ყოფნას არჩევენ. მაშასადამე, აუცილებელია მრავალმხრივ განათლებული, ერუდირებული სასულიერო პირის აღზრდაზე ზრუნვა, რომელიც ახლო მომავალში საქართველოს ეკლესიას მეტ პატივისმცემლებსა და მეგობრებს შესძენს. სასულიერო აკადემიის მსმენელთა პირველი ნაკადი რომელიც უმაღლესდამთავრებული ხარისხის წიადიდან გამოსულია უმეტესად, ინტელიგენტური ოჯახების შვილებისგან შედგება, გვაგვსებს იმის იმედით, რომ ისინი ღირსეულად გაართმევენ თავს თავიანთ მოწოდებას. აქედანვე გაცნობიერებულ პასუხისმგებლობას უთუოდ, უფრო გაზრდის იმის შეგნება, რომ მათ ამიერიდან მწვრთნელ-მოძღვრებად გვერდით გვეყოლება აკადემიის პროფესორ-მასწავლებლად მოწვეული ჩვენი საუკეთესო მეცნიერები.

ყველაფერი ეს ქმნის გარანტიას, რომ ქართული სასულიერო აკადემია ღირსეულად და პირნათლად შეასრულებს თავის მისიას²⁵. თბილისის სასულიერო აკადემიასთან მჭიდრო თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა თსუ რექტორმა აკადემიკოსმა ნოდარ ამადლობელმა, რომელმაც აღნიშნა: „დღეს, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში, როდესაც ბევრი რამ მიმართულია იქითკენ, რომ ადამიანი დაითრგუნოს, დაკარგოს ინდივიდუალობა და ლამის დაყვანილი იქნას ჭიანჭველის ღონზე. თბილისის უნივერსიტეტსა და სასულიერო აკადემიას ბევრი

საერთო პრობლემა აქვს გადასაწყვეტი. ჩვენ მზად ვართ ამ თანამშრომლობისათვის. ჩვენი პროფესორ-მასწავლებლები მზად არიან თავიანთი წვლილი გაიღონ ამ თანამშრომლობის სრულყოფისათვის“²⁶. სასულიერო აკადემიის პროექტორმა პროფესორმა გიორგი ცინცაძემ აღნიშნა: „დღეს სასულიერო აკადემიის ლექტორებად მოწვეულნი არიან ჩვენი უნივერსიტეტის საუკეთესო წარმომადგენლები. და ისინი მოვიდნენ აკადემიაში, ისე როგორც ბრუნდებიან მშობლიურ კერასთან უცხოობაში ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ, როგორაც შემფოთებულნი, თითქოს და შეშინებულნიც კი. და სწორედ ეს შიშნარევი სიხარულია იმის თავდები, რომ საქართველოში კვლავ განხდება საუკუნეთა წინათ გაწყვეტილი ტრადიცია, აღსდგება ერის ისტორიული მთლიანობა. საქართველოს ეკლესიაში არ გაციებულია კერია. იგი მუდამ ერთი. ეს სასწაულია, მაგრამ ფაქტია: ვიღაც ინახავდა ცეცხლს, ინახავდა წარსულს, ელოდა დილის დადგომას და ელოდა უძღებ შეილებს. ეს დილაც დადგა კეთილი იყოს მისი ნათელი“²⁷ პროფესორმა ზურაბ კიკნაძემ გაიხსენა: „ამ სამოცდაათი წლის წინათ უწმიდესმა და უნეტარესმა კირიონმა აკურთხა ქართული უნივერსიტეტი, ქართველ სწავლულ ერისკაცთა ძალისხმევით შექმნილი ეს კურთხევა დღემდე ადგას მის გუმბათს, რომელიც წარმოადგენდა ტაძრის გუმბათს, არამხოლოდ მეცნიერების ტაძრისა. ეს კურთხევა ჩვენამდე მოდის იმ ბნელი წლების წიაღი და ბნელი. იგი ვერ ეწია მის ნათელს. უნივერსიტეტის აღზრდილნი სხვა რომ არ იყოს რა, მოვალენი არიან მონაწილეობა მიიღონ სასულიერო აკადემიის შექმნაში, რაზეც კირიონ კათოლიკოსის ხანაში და მითუმეტეს, მის შემდეგ, ოცნებაც კი ძნელი იყო. დღეს ეს ოცნებაც აღარ არის, დღეს იგი სინამდვილის ფაქტია სხვა სასიხარულო ფაქტებთან ერთად. თუ ოდესმე ჩვენი ეკლესიის მღვდელმთავარნი ოცნებობდნენ აკადემიის აღდგენაზე საქართველოში, ჩვენ დღეს განვიცდით, ვგრძნობთ მათ სასოებას ისინიც უერთდებიან დღევანდელ სიხარულს“²⁸ კინორეჟისორმა რეზო ჩხეიძემ აღნიშნა: „მე ღრმად მრწამს, რომ ამ კერიდან წამოსული სულიერი ნაკადი იქნება ჩვენი ხატობის ის გაწმენდა და ამაღლება, რომელიც დიდი ხანია გვენატრება და რომელის გარეშეც არსებობა აღარ შეიძლება“²⁹ აკადემიის პირველ კურსელმა თ. დედაბრიშვილმა განაცხადა „ჩვენ, ქართული სასულიერო აკადემიის მომავალ სტუდენტებს, მთელი არსებით შეგნებული გვაქვს, რომ აკადემიაში გამოცდის ჩაბარება ჯერ საქმე არ არის, არამედ მისი დასაწყისია და იგი მხოლოდ მაშინ დაგვირგვინდება წარმატებით, თუკი მთელ ძალდონეს და დროს მის „სამსხვერპლოზე“ უანგაროდ შესწირავთ-სადიდებლად ღვთისა და სასარგებლოდ მოყვასისა“³⁰. სასულიერო აკადემიამ ბინა დაიღო სიონის საპატრიარქო ტაძრის წინ მდებარე სამსართულიან ისტორიულ შენობაში. სასულიერო აკადემიის პირველ ნაკადში ჩაირიცხა 15 სტუდენტი. უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პედაგოგებად მოწვეულ იქნენ: არქიმანდრიტი რაფაელი (კარელინი)-(ძველი სლაგური, ასკეტიკა) პროფესორები: მარიამ ლორთქიფანიძე-(საქართველოს ისტორია) ზაზა ალექსიძე (საქართველოს ეკლესიის ისტორია), ზურაბ კიკნაძე (ძველი აღთქმა), ზურაბ სარჯველაძე (ძველი ქართული ენა), რევაზ ბარამიძე (ქართული ლიტერატურის ისტორია), დოცენტები: მღვდელი დავით შიოლაშვილი (მიტროპოლიტი დიმიტრი შიოლაშვილი) (პომელეტიკა, ლიტურგიკა), თენგიზ ზაღდასტანიშვილი (ინგლისური ენა), თამარ მესხი (ბერძნული ენა), არჩილ ბაქრაძე (ეთიკა), რევაზ სირაძე

(ქრისტიანული ესთეტიკის ისტორია), ზაზა სხირტლაძე (ხელოვნების ისტორია), სერგო ვარდოსნიძე (საქართველოს ისტორია), კონსტანტინე გერასიმოვი (რუსული ენა და ლიტერატურა), ლაურა გრიგოლაშვილი (ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია), ედიშერ ჭელიძე (პატროლოგია), ლერი მჭედლიშვილი (ლოგიკა), მარინე ჩიტაშვილი (ფსიქოლოგია), გვანცა კობლატაძე (ბიზანტოლოგია), გიორგი ეძგვერაძე (საეკლესიო სამართალი), ვლადიმერ საბიაშვილი (დეკანოზი გიორგი საბიაშვილი) (ზოგადი საეკლესიო ისტორია). მღვდლები: დავით დათუაშვილი (ზნეობრივი ღვთისმეტყველება), მასწავლებლები: რობერტ ჩაჩავა (არამართმადიდებელი ეკლესიის ისტორია), ანდრია ბოროდა (არაქრისტიანული რელიგიის ისტორია), ნოდარ კიკნაძე (გალობა). იყვნენ სეკუტარული, რომელთაც არ სჯეროდათ სასულიერო აკადემიის სამეცნიერო შესაძლებლობებისა, მაგრამ ყველა წინააღმდეგობა მისი უწმიდესობის ძალისხმევით გადალახულ იქნა.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირში რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარება შეიქმნა. საბჭოთა იმპერიის შენარჩუნების და გაკეთილშობილების სურვილმა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა მიხეილ გორბაჩოვის მეთაურობით იმ გადაწყვეტილებამდე მიიყვანა, რომ აუცილებელი იყო არსებულ პრობლემებზე დაუფარავად მსჯელობა-კამათი, რომელიც „პერესტროიკის, გარდაქმნა-განახლების“ სახელით შევიდა ისტორიაში. საბჭოთა კავშირში არსებულმა პრობლემებმა სალონური საუბრებიდან პრესასა და ტელევიზიაში ხმამაღალ დისკუსიაში, შემდეგ ქუჩის აქციებში გადაინაცვლა. დაიწყო წარსულის გადაფასების მტკივნეული პროცესები, რომლებმაც ხშირ შემთხვევაში უმართავი სახე მიიღო. საქართველოში დაიწყო ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ახალი აღმავლობა. 1988 წლის ნოემბრის მასობრივი საპროტესტო აქციის მუხტი გადაეღო ყველას. ეს პროცესები მეტნაკლებად აისახა ახლადდაარსებულ სასულიერო აკადემიაზეც...

1989 წლის 8 თებერვალს თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორად უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაინიშნა სიონის საპატრიარქო ტაძრის წინამძღვარი, პროტოპრესვიტერი გიორგი (გამრეკელი), რომელსაც ურთულეს ვითარებაში მოუწია სასწავლებლის ხელმძღვანელობა. პოლიტიკური პროცესები კიდევ უფრო გამძაფრდა 1989 წლის 9 აპრილის ცნობილი მოვლენების შემდეგ, თბილისი და მთელი საქართველო გადაიქცა მასობრივი გაფიცვებისა და მიტინგების ასპარეზად. ადამიანებმა დაიჯერეს, რომ ქართველი ერის ეროვნული და სახელმწიფოებრივი პრობლემების მოგვარება მხოლოდ ამ გზით იყო შესაძლებელი. უმადლეს სასწავლებლებსა და საშუალო სკოლებში თითქმის ჩაშლილი იყო სასწავლო პროცესი, მიუხედავად იმისა, რომ სასულიერო აკადემიის პროფესორ-მასწავლებლებს ერთხანს თითქმის არ ჰქონდათ ხელფასები. მათი უმრავლესობა გრძნობდა პასუხისმგებლობას სასულიერო აკადემიის, ჩვენი ერის წინაშე და ენთუზიაზმით აგრძელებდა მუშაობას. სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში არ შეწყვეტილა სასწავლო პროცესი. 1990 წლის სექტემბრიდან უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით სასულიერო აკადემიასთან გაიხსნა ორი ახალი ფაკულტეტი: ქრისტიანული ხელოვნებისა და ქრისტიანული ანთროპოლოგიისა, სადაც ვაჟებთან ერთად გოგონებსაც მიეცათ განათლების მიღების საშუალება. ქრისტიანული ხელოვნების ფაკულტეტზე სასწავლო პროგრამა მოიცავს მსოფლიო ხელოვნების, ქართული ხელოვნების

ისტორიის პრობლემატიკას. პროგრამების შედგენასა და სასწავლო პროცესში თავიდანვე ჩაერთვნენ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების კათედრიდან, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმიდან. ფაკულტეტზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ხელოვნების ნაწარმოების მხატვრულ ანალიზს, ქართული ხელოვნების ისტორიას. თეორიულ სწავლებასთან ერთად სტუდენტებისათვის მუშაობს ხატწერის, თარგმნის, თექა-გობელინის შემსწავლელი ჯგუფები. გარდა სალექციო კურსებისა ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტები პრაქტიკას გადიან მუზეუმებში, უშუალოდ მონაწილეობენ ისტორიული ეკლესია-მონასტრების აღდგენა-რესტავრაციაში.

ქრისტიანული ანთროპოლოგიის ფაკულტეტის შექმნა განაპირობა იმან, რომ 1989-1990 სასწავლო წლიდან საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლისა და უმაღლეს საწავლებლებში სავალდებულო საგანთა ნუსხაში შეტანილ იქნა რელიგიურ საგანმანათლებლო საგანი ქრისტიანული რელიგიის ისტორია. ამ პროფილის სპეციალისტების ნაკლებობის დროს სასულიერო აკადემიის ქრისტიანული ანთროპოლოგიის სპეციალობის კურსდამთავრებულთ ეს ხარვეზი უნდა შეევსოთ.

სასულიერო აკადემიაში შეიქმნა სამეცნიერო საბჭო, დაიწყო სასულიერო აკადემიის სამეცნიერო-საღვთისმეტყველო შრომების გამოცემა (1999 წლიდან).

1993 წლის 19 ივლისიდან 2003 წლის 1-იანვრიდან თებერვლამდე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ღოცვა-კურთხევის თბილისის სასულიერო აკადემიის და სემინარიის რექტორი იყო მიტროპოლიტი აბრაამი (გარმელია). ამ დროს სასულიერო აკადემიამ და სემინარიამ ახალ წარმატებებს მიაღწია როგორც სასწავლო პროცესის სრულყოფის, ასევე სასულიერო სასწავლებლისა და საერო უმაღლესი სასწავლებლების ურთიერთობის, სამეცნიერო მუშაობის, აკადემიის ადმინისტრაციული სტრუქტურის, სასწავლო-სამეცნიერო კათედრების ჩამოყალიბების თვალსაზრისით. მომთხოვნელობა და ყურადღებიანობა როგორც პროფესორ-მასწავლებლების, ასევე სტუდენტების მიმართ სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში შემოქმედებით ატმოსფეროს ქმნიდა. უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ღოცვა-კურთხევით, მეუფე აბრაამის ბრძანებით 1994 წლიდან ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობისა და ქრისტიანული ანთროპოლოგიის ფაკულტეტების ბაზარზე შეიქმნა თბილისის სასულიერო აკადემიასთან არსებული საღვთისმეტყველო ინსტიტუტი. 1994 წლის 2 აგვისტოს სასულიერო აკადემიაში გაიხსნა საქართველოს ისტორიის კათედრა რომლის გამგედ დაინიშნა პროფესორი სერგო ვარდოსანიძე. 1998 წელს გაიხსნა საღვთისმეტყველო კათედრა რომლის გამგედ პროფესორი ედიშერ ჭყელიძე დაინიშნა, ხელოვნებათმცოდნეობის კათედრის გამგედ კი პროფესორი ზაზა სხირტლაძე. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგედ პროფესორი გრიგერ ფარულავა. 2000 წელს ენების კათედრის გამგე იყო მაია ახვლედიანი.

ამჟამად უცხო ენების კათედრას განაგებს პროფესორი იური მოსიძე, 2006 წელს გაიხსნა რელიგიათმცოდნეობის კათედრა. გამგე პროფესორი ლელა ხაჩიძე. სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში, საღვთისმეტყველო ინსტიტუტში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საკურსო და სადიპლომო ნამუშევრების

მომზადება-დაცვას. უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი სასწავლო წლის ბოლოს ყოველთვის ესწრება დიპლომების დაცვას და ახდენს ნამუშევართა შეფასებას. 1998 წლიდან სასულიერო აკადემიამ დაიწყო გამოცემა გაზეთისა რომელსაც ერქვა „თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია,“ რომელმაც იარსება 2000 წლამდე, ხოლო 2004 წელს თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიასთან არსებულმა საღვთისმეტყველო ინსტიტუტმა განაახლა სასულიერო აკადემიის გაზეთ „კლიტე დავითისი“ გამოცემა. სასულიერო აკადემიის, სემინარიისა და საღვთისმეტყველო ინსტიტუტის მიღწევებზე უფრო დაწვრილებით მოგვითხრობს ის ანგარიშები, რომელნიც სასულიერო აკადემიის დაფუძვნების ათი წლისთავზე გააკეთდა 1998 წლის ოქტომბერში. მიუხედავად იმისა, რომ ათი წელი არც ის ბევრია ისტორიისათვის. უწმიდესისა და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გადაწყდა საზეიმოთ აღნიშნათ ეს თარიღი, მაგრამ ეს არ უნდა ყოფილიყო მხოლოდ საზეიმო აღნიშვნა, არამედ იმ მიღწევათა და ნაკლოვანებათა ჩვენებაც, რომელიც ათი წლის განმავლობაში გაიარა თბილისის სასულიერო აკადემიამ.

1998 წლის 5 ნოემბერს საპატრიარქოში ჩატარდა თბილისის სასულიერო აკადემიის ათი წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-ემ. მან აღნიშნა, რომ აკადემიის დაარსების საიუბილეო თარიღი მნიშვნელოვანია ჩვენი ერის ცხოვრებაში „ჩემი პატრიარქობის დროს მე არაერთხელ დავაყენე საკავშირო მთავრობის წინაშე ეს საკითხი, მაგრამ... და აი, ათი წლის წინ კიდევ ერთხელ დადაგა ეს საკითხი. მის დადებითად გადაწყვეტაში დიდი როლი შეასრულა საქართველოს რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა რწმუნებულმა ანზორ წიკლაურმა. იყო რაღაც გაურკვეველი მდგომარეობა მოსკოვი ამბობდა თანახმა იყო თბილისის თანხმობის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობაც იგივეს აცხადებდა, ამ დროს ანზორ წიკლაურმა გამოიჩინა დიდი ვაჟკაცობა, იგი ისტორიკოსი იყო და კარგად ესმოდა, რამდენად მნიშვნელოვანი იყო სასულიერო აკადემია საქართველოს ეკლესიისათვის. მან აცნობა მოსკოვში, რომ საქართველოს ხელისუფლება თანახმაა და საქართველოს ხელისუფლებას, რომ საკავშირო მთავრობა თანახმაა. ამ საოცარ და გაუგებარ ვითარებაში მოხდა სასულიერო აკადემიის გახსნა... ეს ამბავი მოედო სრულიად საქართველოს, მაგრამ მრავალი სკეპტიკურად შეხვდა. სასულიერო აკადემიას სჭირდებოდა პროფესორ-მასწავლებლები ისინი კი არ ჩანდა... მაგრამ წმინდა სინოდი, სამღვდელოება და მორწმუნე მრევლი იმედით შეხვდა და ეს იმედი, მადლობა უფალს, გამართლდა... მთელმა მსოფლიომ გაიგო, რომ საქართველოში ფუნქციონირებს თბილისისა და გელათის სასულიერო აკადემიები. აი, დღეს ჩვენ აღნიშნავთ ამ აკადემიის ათი წლისთავს. ათი წლისთავი თითქოს არ არის დიდი თარიღი, მაგრამ ამ ათი წლის განმავლობაში გააკეთდა ძალიან ბევრი... ღმერთმა დალოცოს თბილისი სასულიერო აკადემია და ღმერთმა გააძლიეროს იგი სულიერად და აკადემიურად“³¹. სასულიერო აკადემიის რექტორმა მეუფე აბრაამა ვრცლად ისაუბრა უმაღლესი სასულიერო განათლების ტრადიციებზე, როგორც საზღვარგარეთის ქრისტიანულ ცენტრებში, ასევე საქართველოში და ამ ტრადიციის გაგრძელებად მიიჩნია თბილისის სასულიერო აკადემია, რომელიც „მოწოდებულია საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიისათვის მოამზადოს

სამეცნიერო და პედაგოგიური კადრები.“ დღეისათვის მას მჭიდრო ურთიერთობა აქვს საზაღვარგარეთის მართმადიდებელ სასწავლებლებთან და ორგანიზაციებთან, კერძოდ, მართლმადიდებელი სასწავლებლების საერთაშორისო ორგანიზაციას სინდესმოსთან, ათენის, თესალონიკის, ბუქარესტის უნივერსიტეტებთან. პარიზის წმინდა სერგის სახელობის საღვთისმეტყველო ინსტიტუტთან, მოსკოვისა და სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიებთან... თბილისის სასულიერო აკადემია აქტიურად თანამშრომლობს საერო უმაღლეს სასწავლებლებთან... ღრმად გვწამს, რომ ქართველ საზოგადოებასთან, ინტელიგენციასთან თანამშრომლობით აკადემია მომავალში კიდევ უფრო მეტად აღორძინდება, მეცნიერებით და სულიერებით საღვთო მადლში დაწინაურებული და წარმატებული, მაცხოვრის უკვდავ ცოდნასთან ზიარებით, თავის სიკეთეს, მის დიდებას გარეთაც განფენს, რათა ყველას უწინამძღვროს იმ მაცხოვრებელი მადლის შეცნობისაკენ, რომლის გარეშე უმეტრება და წყვედიადი სუფევს.“³² სასულიერო აკადემიის დაარსების ათი წლისთავი უწმიდესსა და უნეტარესს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II-ის მიულოცეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ, თბილისის უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა ვახტანგ სართანიამ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ალბერტ თავხელიძემ, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ. სასულიერო აკადემიის რექტორისა და დიდი საბჭოს გადაწყვეტილებით 1999 წლის 16-18 ნოემბერს საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა სასულიერო აკადემიის დიდი საბჭოს სახეიმო სხდომა, პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია. ამ კონფერენციამ სრულიად წარმოაჩინა ის მიღწევები და მომავალში გადასატრელები პრობლემები, რომელიც თბილისის სასულიერო აკადემიის წინაშე იდგა. უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა დალოცა სასულიერო აკადემიის სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და აღნიშნა: „ათი წელი გავიდა იმ დღიდან, რაც რვა საუკუნის შემდეგ საქართველოში ამოქმედდა სასულიერო აკადემია. დღეს საქართველოში მრავალი უმაღლესი სასწავლებელი ფუნქციონირებს, მაგრამ ამ აკადემიას გამორჩეული ადგილი უჭირავს მათ შორის. მისი მიზანი იყო და არის მეცნიერებისა და რწმენის დაახლოება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ჩვენს დროში.“³³

თბილისის სასულიერო აკადემიის, სემინარიისა და საღვთისმეტყველო ინსტიტუტის მიერ ათი წლის მანილზე გაწეული მუშაობის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა სასულიერო აკადემიის რექტორმა, მთავარეპისკოპოსმა აბრაამმა, რომელმაც აღნიშნა: „ჩვენს სასწავლებელს დაარსების დღიდან ფუნქციონირება უწევს უაღრესად რთულ და გარდამავალ პერიოდში, როდესაც დასრულდა ეკლესიის ტოტალური დევნა, მაგრამ სახელმწიფოსა და საზოგადოებას ჯერ კიდევ ბოლომდე არ აქვს გააზრებული ეკლესიის როლი და ადგილი. თანამედროვე საქართველოში მიმდინარეობს ეკლესიისა და მონასტრების ინტენსიური მშენებლობა, ეკლესიის მრევლი დღითიდღე იზრდება, დღეს საჭიროა განსაკუთრებით თავადებული შრომა ეკლესიისათვის აუცილებელი სასულიერო, პედაგოგიური და სამეცნიერო კადრების მოსამზადებლად... რელიგიისა და სარწმუნოების სწავლა აბსტრაქტულად, სახელმძღვანელოებით შეუძლებელია,

ამდენად ეკლესიურობის, ლიტურგიკულ ცხოვრებაში შესვლის გარეშე არ არსებობს რელიგიური განათლება. ეკლესიის საიდუმლოებებში მონაწილეობის გარეშე არ არსებობს ღვთაებრივი მადლიერება. ეკლესიის დევნის დროს, როცა არ არსებობდა მართლმადიდებლური განათლების სისტემა, არ გამოიციმოდნა საჭირო საღვთისმეტყველო ლიტურატურა, იკრძალებოდა საჯარო ქადაგება, სწორედ ლიტურგია ინახავდა მართლმადიდებელ სარწმუნოებას, სწორედ საეკლესიო საიდუმლოების მეშვეობით უზენებდა ეკლესია მისადმი მტრულ დამოკიდებულებაში მყოფ და მისგან გაუცხოებულ სამყაროს თავის უძლეველობას და მარადიულობას... სასწავლებლის სახელწოდება-სასულიერო აკადემია განსაზღვრავს ჩვენი მუშაობის უმთავრეს პრიორიტეტს სტუდენტთა ეკლესიურობის, ცოდნის და სულიერების დონის ამაღლებას... მაღალი სულიერების მიღწევა ერთობრივი ძალისხმევის გარეშე შეუძლებელია.. სულიერების უმთავრესი მაჩვენებელია სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მზადყოფნა, ღირსეულად იმსახურონ იქ, სადაც ყველაზე მეტად სჭირდება ეკლესიას...“ მეუფე აბრაამი შეეხო მიღწევებსა და ნაკლოვანებებსაც, მან აღნიშნა, რომ მოსაგვარებელია სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საკითხი, სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის გამო იგრძნობა ფართის სიმცირე, მოსაგვარებელია ბიბლიოთეკის, სტუდენტთა სატრაპეზოს, პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასების საკითხები. არსებული სირთულის მიუხედავად სტუდენტთა მომზადების დონე თანდათან მაღლდება“³⁴... მეუფე აბრაამი შეეხო სასულიერო აკადემიაში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის საკითხებს, დააყენა სასულიერო აკადემიაში სადისერტაციო საბჭოს შექმნის საკითხი საღვთისმეტყველო მეცნიერების შემდეგ დარგებში: 1.ღვთისმეტყველება, 2.ეკლესიის ისტორია, 3.ქრისტიანული ხელოვნება. სასულიერო აკადემიის კათედრების მიერ შესრულებული და მომავალში გადასატრეული პრობლემების შესახებ ისაუბრეს: საქართველოს ისტორიის კათედრის გამგემ – პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ, ღვთისმეტყველების კათედრის გამგემ – პროფესორმა ედიშერ ჭელიძემ, ხელოვნებათმცოდნეობის კათედრის გამგემ – პროფესორმა ზაზა სხირტლაძემ. სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში ჩატარებული პირველი ლექციები გაიხსენეს: აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ, პროფესორებმა: დიმიტრი თუმანიშვილმა, რევაზ ბარამიძემ. სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებულმა, პრორექტორმა დეკანოზმა გიორგი ზვიადაძემ აღნიშნა: „მე როგორც სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებულს აკადემიასთან ბევრი რამ მაკავშირებს, სათქმელიც ძალიან ბევრი მაქვს, თუმცა ვიცი, რომ შეუძლებელია იმ განცდის სრულად გამოთქმა, რაც ცოდნის ამ დიდებულ ტაძარს უკავშირდება. მხოლოდ ახლა ვიცნობიერებ სრულად, თუ რა მძიმე იქნებოდა ჩემთვის აკადემიის კედლებში გატარებული წლების გარეშე ცხოვრება, სადაც სწავლა და მითუმეტეს, პედაგოგობა უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობაა ყველა ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის. უსაზღვროდ მადლიერი ვარ ღვთის, რომ ეს პატივი მეც მხვდა წილად. გულწრფელად მჯერა, რომ დღეს უკვე შესამჩნევად წარმატებული თბილისის სასულიერო აკადემია მომავალში კიდევ უფრო წარმატება და აღორძინდება, რაც ერისა და ბერის ერთობლივი ძალისხმევითა და მხოლოდ თანამშრომლობით გახდება შესაძლებელი“³⁵

თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში დიდი ყურადღება ექცევა სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. აკადემიის პროფესორ-მასწავლებელთა ძალებით ჩატარდა ქრისტიანობის

ოცსაუკუნოვან იუბილისათვის მიძღვნილი სამი საერთაშორისო კონფერენცია, წმინდა ილია მართლის დაბადებიდან 160 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. აკადემიის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციები მიეძღვნა: ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II გარდაცვალებიდან 200 წლისთავს, უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II გარდაცვალებიდან 80 წლისთავს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესი და უნეტარესები ილია II აღსაყდრების 20- და 30 წლის საიუბილეო თარიღებს, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 90 წლისთავს. 2004 წლის 4 ივნისიდან 2005 წლის დასაწყისამდე უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ღოცვა კურთხევით სასულიერო აკადემიის რექტორი იყო ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მთავარეპისკოპოსი თეოდორე (ჭუაძე). ურთულეს პირობებში მოუხდა მეუფე თეოდორეს რექტორის მოვალეობის შესრულება. ამ დროს მთელი რიგი არასამთავრობო ორგანიზაციები „ლიბერალიზმისა და დემოკრატიული ღირებულების ღოზუნგებით“ დაუპირისპირდნენ საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას, თბილისის სასულიერო აკადემიას, ისინი ცდილობდნენ სტუდენტებში დასაყრდენის მოპოვებას და დაპირისპირების ინსპირირებას სასულიერო აკადემიაში“. უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა სწორად შეაფასა რა შექმნილი ვითარება „ახალ რეფორმატორებს“ ამ სიტყვებით მიმართა „თუ პიროვნებას, ხალხს, სახელმწიფოს არ აქვს სწორი რელიგიური და ეროვნული იდეოლოგია, ლიბერალიზმი აუცილებლად მტრების სასარგებლოდ იმუშავებს და შინაგანად დაანგრევს ქვეყანას. ის უბიძგებს საზოგადოებას ფსევდოდემოკრატიისა და ცრუ თავისუფლებისაკენ, გააუფასურებს ეროვნულ ღირებულებებს, დაარღვევს ფორმასა და შინაარსს საზოგადოებრივი ცხოვრებისას“³⁶ სასულიერო აკადემიის პროფესორ-მასწავლებლებმა აკადემიისათვის შექმნილ რთულ ვითარებაში მიიღეს გადაწყვეტილება ეთხოვათ უწმინდესისა და უნეტარესისათვის თავის სრულ მფარველობაში აეყვანა აკადემია და ეხსნა განსაცდელისაგან. უწმიდესი და უნეტარესი დათანხმდა პროფესორ-მასწავლებლებს და თავის ხელში აიღო აკადემიის მართვა-გამგეობა. 2005 წლის იანვრიდან ყოველდღე პატრიარქის სამუშაო დღე იწყება დილით სასულიერო აკადემიის სტუდენტებთან, პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრით. პატრიარქის ღოცვა-კურთხევით სასულიერო აკადემიაში ეწყობა სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციები, შემოქმედებითი საღამოები. მნიშვნელოვანია შეხვედრები ქართული მეცნიერების, კულტურის, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან. აკადემიამ უმასპინძლა პოეტებს: ანა კალანდაძეს, მუხრან მაჭავარიანს, რეზო ამაშუკელს, ღია სტურუას, მწერალ გურამ დოჩანაშვილს, რეჟისორ რეზო ჩხეიძეს, აკადემიკოს შოთა ნადირაშვილს, პროფესორ ბაჩანა ბრეგვაძეს, პროფესორ ბონდო არველაძეს, გაიმართა საინტერესო დისკუსიები ქართული მწერლობის, კულტურის აქტუალურ პრობლემებზე. გლობალიზაციის რთულ წინააღმდეგობრივ ეპოქაში, როდესაც რეალური საფრთხე ემუქრება ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ეროვნულ ღირებულებებს სასულიერო აკადემიის, სემინარიისა და საღვთისმეტყველო ინსტიტუტის სასწავლო პროგრამები, სასწავლო პროცესები ეროვნულ ღირებულებათა დაცვას და განმტკიცებას ემსახურება.

უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით 2005-2006 წლებში სასულიერო აკადემიასთან არსებული ღვთისმეტყველების ინსტიტუტს დაემატა რამდენიმე სპეციალობა: 1. გალობის უმაღლესი სკოლა, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს სახალხო არტისტი ანზორ ერქომაიშვილი. გალობის სკოლის მიზანია ქართული ხალხური სიმღერების, საეკლესიო საგალობლების მაღალ დონეზე შესწავლა და პოპულარიზაცია 2. დეკორატიული ხელოვნების ინსტიტუტი, რომელსაც ხელმძღვანელობს ცნობილი დეკორატიორი ზურაბ შვეარდნაძე. ფაკულტეტი ამზადებს მებაღე-დეკორატორებს 3. მოწვალეების დების ინსტიტუტი, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფესორი, არქიმანდრიტი ადამი (ვახტანგ ახალაძე). მოწვალეების დების ინსტიტუტი 1917 წლის შემდეგ აღარ არსებობდა. ამ ინსტიტუტის აღდგენით დიდი საქმე კეთდება. მოწვალეების დები საავადმყოფოებში იმუშავენ, ისინი უშუალოდ მკურნალობის პროცესში არ ჩაერევიან, მაგრამ დაეხმარებიან, ავადმყოფებს, სულიერად გაამხნევენ მათ. 4. ხატწერის, რესტავრაციისა და გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს დეკანოზი იოსებ ვანიძე. 2006 წლიდან ფაკულტეტზე გაიხსნა მინანქრისა და ჭედურობის, 2007 წლიდან მოზაიკის სპეციალობები. თბილისის სასულიერო აკადემიის გახსნა იყო პირველი მაცნე საქართველოში სასულიერო უმაღლესი განათლების ისტორიული ტრადიციების აღორძინება-განვითარებისა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, თეოლოგიის დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოსა და საზღვარგარეთის მრავალი უმაღლესი სასწავლებლის საპატიო პროფესორი თვლის, რომ თანამედროვე სასულიერო პირი უნდა იყოს მრავალმხრივი განათლების ადამიანი, რათა მან მოახერხოს საოცრად გამიწიერებული ადამიანების დაბრუნება სულიერ სამყაროში. განათლება აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს ეროვნულ ტრადიციებს, ეროვნულ ღირებულებებს „როგორც ადამიანისათვის მიწიერი სურვილებით გატაცება არის დიდი ცოდვა და უაზრობა, ასევე უაზრობაა სახელმწიფო ინსტიტუტების შემოფარგვლა მარტო ყოფითი პრობლემებითა და მიწიერი საკითხებით. თუ ხელოვნებას სურს, არ ჩაეფლოს ამოების ჭაობში და არ უნდა საზოგადოების წევრები გაწიროს უმიზნო ყოფისათვის, მას ყოველთვის და ყოველ საქმეში ცათა სასუფეველი უნდა ჰქონდეს ყველგან და ყველაფერში, ქრისტიანული ცხოვრების წესის დამკვიდრებას უნდა ცდილობდეს ასეთი სახელმწიფოა სიცოცხლისუნარიანი, სულით ძლიერი და გაუტეხელი. აუცილებელია, რომ საქართველოს, როგორც ძველმა ქრისტიანულმა სახელმწიფომ იხელმძღვანელოს ქრისტიანული ეთიკით და ააშენოს ეროვნული სახელმწიფო ჩვენი ტრადიციებისა და მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე დაყრდნობით“³⁷

უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ღვაწლით 1995 აღსდგა გელათის სასულიერო აკადემია, დაარსდა წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სასულიერო სემინარია (რექტორი ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი კალისტრატე მარგალიტაშვილი). მისი უწმინდესობა თვლის, რომ წმინდა მეფე დავით აღმაშენებლისათვის გელათის აკადემია „სხვა ათინაი და მეორე იერუსალიმი“ მარტო სასულიერო პროფილს არ გულისხმობდა. იქ საერო მეცნიერებების დარგებიც წარმატებით ვითარდებოდა, ამიტომ საჭირო იყო ისეთი სამეცნიერო დაწესებულებების შექმნა, რომელიც

საერო და სასულიერო მეცნიერების გამაერთიანებელი იქნებოდა. 1995 წლის 25 მაისს საქართველოს პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის ერთობლივი ბრძანებით „ქართული ენისა და სრულიად საქართველოს მოსახლეობის სულიერი და ზნეობრივი ამაღლებისა და მისი ინტელექტუალური განვითარებისათვის“ ქ. ქუთაისში დაარსდა გელათის მეცნიერებათა აკადემია. მისი პრეზიდენტი 2007 წლამდე იყო აკადემიკოსი მაგალი თოდუა, 2007 წლიდან აკადემიკოსი მიხეილ ქურდიანი...

უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით სასულიერო სასწავლებლები ფუნქციონირებს ახალციხეში, გორში, ბათუმში, ფოთში. ეპარქიებში არის სასულიერო გიმნაზიები... უწმიდესის ლოცვა-კურთხევით და წმიდა სინოდის 2008 წლის ივნისის განჩინებით ყველა მოქმედ ეკლესიასთან უნდა დაარსდეს სამრევლო სკოლები, რომელნიც ახალგაზრდობას შეასწავლის ქრისტიანულ სარწმუნოებას, საქართველოს ისტორიას, ქართულ ლიტერატურას. უწმიდესი და უნეტარესი თვლის, რომ სასულიერო სასწავლებლების პროგრამები, სახელმძღვანელოები, სასწავლო პროცესი იმგვარად უნდა წარიმართოს, რომელიც ახალგაზრდებს მისცემს წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევებს, ღრმა აზროვნებას, ფაქტებისა და მოვლენების ანალიზს.

თბილისის სასულიერო აკადემიის რექტორატი და სამეცნიერო საბჭო 2002 წლის 14 ოქტომბრის სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმებიდან გამომდინარე ამუშავეს სასულიერო აკადემიაში სადისერტაციო საბჭოს დებულებას, რომელიც გაითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებას, რათა აკადემიის მიერ მინიჭებული ხარისხი იყოს გათანაბრებული საერო სამეცნიერო საბჭოს ხარისხთან, ასევე მოხდეს სასულიერო აკადემიის, სემინარიისა და საღვთისმეტყველო ინსტიტუტის მიერ გაცემული დიპლომების სახელმწიფოსაგან აღიარება. უწმიდესისა და უნეტარესის ძალისხმევით განმტკიცდა სასულიერო აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაიზარდა მისი დაფინანსება, პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასები, შორს არ არის ის დრო, როდესაც თბილისის სასულიერო აკადემია, სემინარია და საღვთისმეტყველო ინსტიტუტის სპეციალობები ვაკეში ისტორიული სასულიერო სემინარიის აღდგენილ შენობაში გადავა.

1963 წლის ოქტომბერში, როდესაც მცხეთაში სასულიერო სემინარიის წინამორბედი-საღვთისმეტყველო კურსების გახსნა და 4 მსმენელის ჩარიცხვა საქართველოს მართმადიდებელი სამოციქულო ეკლესიისათვის ისტორიულ მოვლენად შეფასდა... 1988 წელს სასულიერო აკადემიაში 15 სტუდენტი ჩაირიცხა... 2007-2008 სასწავლო წელს სასულიერო აკადემიაში, სემინარიასა და საღვთისმეტყველო ინსტიტუტში 1500-ზე მეტი სტუდენტი სწავლობდა, ხოლო მოსამზადებელ განყოფილებაზე 400-ზე მეტი. ეს მშრალი სტატისტიკა მრავლის მოქმედია. საქართველოს მოსახლეობამ, ქართველმა ახალგაზრდობამ ირწმუნა სასულიერო აკადემიისა და სემინარიის, საღვთისმეტყველო ინსტიტუტის ავტორიტეტი და მნიშვნელობა. ქართული სასულიერო განათლების აღორძინება და განვითარება დაკავშირებულია უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სახელთან. თბილისის სასულიერო აკადემია ოცი წლის გახდა. ოცი წელი ისტორიისათვის არც ისე

ბევრია, მაგრამ ის, რაც უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ძალისხმევით ამ ოცი წლის განმავლობაში გაკეთდა სასულიერო განათლების აღორძინებისა და განვითარებისათვის შთამბეჭდავია...

2009 წლის 23 ოქტომბერს უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ღოცვა-კურთხევით სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორად დაინიშნა პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე.

IV მცხეთის სასულიერო სემინარიის დამაარსებელნი, რექტორები, თბილისის სასულიერო აკადემიის, სემინარიის და საღვთისმეტყველო ინსტიტუტის რექტორები

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II (1960-1972წ.წ)

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II, ერისკაცობაში გრიგოლ შიოს ძე სიღამონიძე დაიბადა 1896 წლის 19 ოქტომბერს გორის მაზრის სოფელ დოესში სოფლის მედავითნის ოჯახში. 1904-1912 წლებში სწავლობდა გორის სასულიერო სასწავლებელში, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სასწავლებლის დირექციის რეკომენდაციით ჩაირიცხა თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1918 წელს იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, სადაც ისმენდა ივანე ჯავახიშვილის, აკაკი შანიძის, კორნელი კეკელიძის, გრიგოლ წერეთლის, შალვა ნუცუბიძის, დიმიტრი უზნაძის, გიორგი ჩუბინაშვილის ლექციებს. 1922 წლის 17 იანვარს გრიგოლ სიღამონიძე ბერად აღიკვეცა ეფრემის სახელით და სპეციალური განცხადებით მიმართა უნივერსიტეტის რექტორს ივანე ჯავახიშვილს, რომ ტოვებდა უნივერსიტეტის სტუდენტობას. 1923 წლის 14 იანვარს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დროებით მოვალეობის შემსრულებლის ეპისკოპოსს ქრისტეფორეს (ციციქიშვილი) ღოცვა-კურთხევით ხელდასმულ იქნა იეროდიაკვნად, შემდეგ მღვდელმონაზონად, იმავე წლის 4 ივლისს დაჯილდოვდა ოქროს ჯვრის ტარების უფლებით. ქვეყანაში შექმნილი ურთულესი ვითარების მიუხედავად (აგრესიული ათეიზმი, ეკლესია-მონასტრების ნგრევა, სასულიერო პირების დევნა), მღვდელმონაზონი ეფრემი მოღვაწეობდა შიომღვიმის მონასტერში. 1925 წლის 22 ოქტომბერს უწმიდესისა და უნეტარესი ამბროსის ღოცვა-კურთხევით აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში და დაინიშნა ბორჩალოს მაზრის მთავარსუცესად და დიდი გომარღეთის მრევლის მღვდლად. 1927 წლის მარტში არქიმანდრიტი ეფრემი გადმოყვანილ იქნა მცხეთა-თბილისის ეპარქიის ქორეპისკოპოსად. იმავე წლის 26 მარტს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის თავმჯდომარის მიტროპოლიტ ქრისტეფორეს მიერ აღყვანილ იქნა ეპისკოპოსის ხარისხში და ჩაბარდა ალავერდის ეპარქია. 1929 წლის 5 იანვარს ალავერდის ეპარქიაში შექმნილი უძძიმესი ვითარების გამო (გააუქმეს თითქმის ყველა მოქმედი ეკლესია, იჭერდნენ სასულიერო პირებს, მღვდელმთავარს აკრძალული ჰქონდა თავისუფალი გადაადგილების უფლება)

დაბრუნდა თბილისში. 1930 წლის 24 ოქტომბერს დაინიშნა ურბნისის ეპარქიის დროებით მმართველად, 1931 წლის იანვრიდან თბილისის ნაფთულის ეკლესიის დროებით წინამძღვრად.

1932 წლის 13 ოქტომბერს უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატეს ლოცვა-კურთხევით დაინიშნა ურბნისის ეპარქიის მმართველად და გორის საკათედრო ტაძრის წინამძღვრად... 1937 წლის 10 დეკემბერს ეპისკოპოსი ეფრემი ანტისაბჭოთა სამიანობის ბრალდებით დააპატიმრეს და მიუსაჯეს 7 წელი გადასახლება. 1944 წლის 21 ივნისს იგი გაათავისუფლეს, დაბრუნდა საქართველოში 1945 წლის 12 ივნისს უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატეს ლოცვა-კურთხევით მიებოძა მიტროპოლიტობა და დაინიშნა ქუთაისი-გაენათის ეპარქიის მმართველად.

1953-1960 წლებში იყო ბათუმ-შემოქმედისა და ჭყონდიდის ეპარქიის მმართველი. 1960 წლის 19-20 თებერვლის საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის მეათე საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად. უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II დაუღალავი ღვაწლითა და მოწადინებით 1963 წლის ივლისში საქართველოს საერო ხელისუფლების ნებართვით მცხეთაში გაიხსნა სამოძღვრო კურსები, რომელიც სულ მალე პანსიონატის ტიპის სემინარიად გადაკეთდა. მის რექტორად დაინიშნა შემოქმედი ეპისკოპოსი ილია (შიოლაშვილი) უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II გარდაიცვალა 1972 წლის 7 აპრილს. დაიკრძალა 13 აპრილს, ხუთშაბათს სიონის საპატრიარქო ტაძარში.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ილია II

უწმიდესი და უნეტარესი ილია ერისკაცობაში ირაკლი გიორგის ძე ღუდუშაური შიოლაშვილი დაიბადა 1933 წლის 4 იანვარს ქ. ორჯონიკიძეში (გლადიკავკაზი) კეთილმორწმუნე ქრისტიანულ ოჯახში. მამა – გიორგი სიმონის ძე შიოლაშვილი იყო სოფელ სნოდან (ყაზბეგის რაიონი), დედა – ნატალია იოსების ასული კობაიძე სოფელ სიონიდან (ყაზბეგის რაიონი). ღუდუშაურები ერთერთი გამორჩეული და წარჩინებული გვარია ხევში, ჯერ კიდევ IV საუკუნეში წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალის ჩრდილოეთში ლაშქრობის ქამს თავი გამოუჩენია მოხევე სნოს რომელსაც მეფემ პატივისცემის ნიშნად ვაჟიშვილი ღუდუშა მოუნათლა, აქედან წამოსულა გვარი ღუდუშაური. XVII საუკუნეში ღუდუშაურთა გვარში გამორჩეულ შიოლას შთამომავლები შიოლაშვილებად იწოდნენ. შიოლას შთამომავლები იყვნენ: შარამბალი-სულუტა-გლახა-შაქარო-გაგა. (გიორგი უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის მამა). პატარა ირაკლი მონათლულ იქნა ორჯონიკიძის წმიდა ნინოს სახელობის ქართულ ეკლესიაში, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის იურისდიქციაში შედიოდა. ნათლობის საიდუმლო აღასრულა არქიმანდრიტმა ტარასიმ (კანდელაკი), რომელიც იყო უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის მდივანი, შემდგომში წილკნელი ეპისკოპოსი. პატარა ირაკლის ნათლია იყო მონაზონი ზოილე დვალიშვილი, რომელსაც ნათლული ხშირად ჩამოჰყავდა მცხეთაში, ერთხელ, სვეტიცხოვლობაზე, იგი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს უწმიდესსა და უნეტარესს კალისტრატეს დაალოცვინა. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახი ორჯონიკიძეში ცხოვრობდა ზაფხულობით ისინი ხევში სოფელ სნოში

იმყოფებოდნენ. დედ-მამა შვილებს სამშობლოს სიყვარულითა და საქართველოს ეკლესიის ერთგულებით ზრდიდნენ, ოჯახის წევრები ყოველდღე ღოცულობდნენ „საქართველოს დიდების“ ხატთან! 1938 წელს, როდესაც გაუქმდა ორჯონიკიძის წმიდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესია გიორგი შიოლაშვილის ოჯახი გახდა დამაკავშირებელი ხიდი უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატესა და ორჯონიკიძის ქართველობას შორის. 1941-1952 წლებში ირაკლი შიოლაშვილი სწავლობდა ორჯონიკიძის 21-ე საშუალო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა მოსკოვის სასულიერო სემინარიაში. სემინარიის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1956-1960 წლებში სწავლობდა ზაგორსკის სასულიერო აკადემიაში. სასულიერო აკადემიაში სრულად წარმოჩინდა ირაკლი შიოლაშვილის ნიჭიერება და საქართველოს ეკლესიის განსაკუთრებული სიყვარული, რაც აისახა მის სადიპლომო-სადისერტაციო ნაშრომში „ათონის ივერთა მონასტრის ისტორია.“ ნაშრომს მაღალი შეფასება მისცეს ოფიციალურმა ოპონენტებმა: პროფესორებმა ნ. მურვიოვმა და ა. გეორგიევსკიმ. აკადემიის რექტორმა წინადადება მისცა იგი დარჩენილიყო აკადემიაში ასპირანტურაში, მაგრამ მან სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა.

1957 წლის 16 აპრილს თბილისის ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიაში უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მელქისედეკ III-ის ღოცვა-კურთხევით ეპისკოპოსმა ზინობმა (მაჟუგამ) ირაკლი შიოლაშვილი აღკვეცა ბერად და წმიდა ილია თეზბიტელის პატივსაცემად უწოდა სახელი ილია. 18 აპრილს სიონის საპატრიარქო ტაძარში უწმიდესმა და უნეტარესმა მელქისედეკ III-მ ხელი დაასხა იეროდიაკვნად 1959 წლის 10 მაისს უწმიდესი და უნეტარესი მელქისედეკ III-ის წერილობითი ნებართვის საფუძველზე მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა ალექსი I-მა ზაგორსკის წმიდა სერგის სავანის სატრაპეზო ეკლესიაში ხელი დაასხა მღვდელმონაზვნად.

1960 წლის სამშობლოში დაბრუნებული მღვდელ-მონაზონი ილია უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ II-ემ განაწესა ბათუმის საკათედრო ტაძარში წინამძღვრის მოადგილედ. 1960 წლის 19 დეკემბერს იგი აყვანილ იქნა იღუმენის, ხოლო 1961 წლის 16 სექტემბერს არქიმანდრიტის ხარისხში. 1963 წლის 23 აგვისტოს იგი გამორჩეულ იქნა შემოქმედის ეპისკოპოსად. 25 აგვისტოს შესრულდა არქიმანდრიტ ილიას ეპისკოპოსად ხელდასხმა, რომელსაც ესწრებოდნენ: ურბნელი მიტროპოლიტი დავით (დევედარიანი), ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაომი (შავიანიძე), ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი ლეონიდე (ჟვანია), სტეფანაველი ეპისკოპოსი ზინობი (მაჟუგა). 26 აგვისტოს იგი დაინიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსად. უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II-ემ ეპისკოპოს ილიას ჩააბარა ახალგაზსნილი მცხეთის სამოძღვრო კურსების ხელმძღვანელობა, რომელიც მეუფე ილიას თავდადებული შრომით სულ მალე სასულიერო სემინარიად გადაკეთდა, სადაც მოწესრიგდა სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შეიქმნა სასწავლო პროგრამები და სალექციო კონსპექტები, განმტკიცდა დისციპლინა.

1963-1977 წლებში მეუფე ილია ხელმძღვანელობდა საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის საგარეო განყოფილებას და ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსებთან თანამშრომლობით აგროვებდა სხვადასხვა არქივებში, ხელნაწერებში, გამოუქვეყნებელ დოკუმენტებში არსებულ მასალებს, რომელნიც

უცილობლად ადასტურებდა საქართველოს მართმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიულ ავტოკეფალიას. ამ მასალების საფუძველზე საქართველოს სამოციქულო ეკლესია მეუფე ილიას ხელმძღვანელობით 1963-1977 წლებში მსოფლიოს მართმადიდებელ ეკლესიათა წინაშე პრინციპულად სვამდა საკითხს, რათა მათ ეღიარებინათ საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია. 1967-1977 წლებში მეუფე ილია ხელმძღვანელობდა საქართველოს მართმადიდებელ სამოციქულო ეკლესიის ერთერთ ყველაზე რთულ ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას, სადაც მოახერხა ქართველ სასულიერო პირთა რიცხვის გაზრდა, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის იურისდიქციის სრულად განგრცობა ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

1969 წლის 15 მაისს ეპისკოპოსი ილია საქართველოს მართმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესის ეფრემ II-ის მიერ აღყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში. ცხრა წელი ხელმძღვანელობდა მეუფე ილია მცხეთის სასულიერო სემინარიას. ამ ხნის მანძილზე მას მრავალი დაბრკოლების, წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა, მაგრამ თავისი დიდი სულიერებითა და ინტელექტის წყალობით მოახერხა სასულიერო სასწავლებლის მტკიცე საფუძველზე დამყარება. მისი ოცნება იყო სასულიერო სემინარიის გარდა საქართველოს ეკლესიას ჰქონოდა სასულიერო აკადემიაც, მაგრამ ამ ოცნების რეალობად ქცევა მოხერხდა უფრო გვიან. მართალია იგი 1977 წლის 25 დეკემბრიდან, როდესაც არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად შეუდგა სასულიერო აკადემიის გახსნისათვის პირობების მომზადებას, მაგრამ სირთულეებიდან გამომდინარე სასულიერო აკადემიის დაფუძნება 1988 წლამდე ვერ მოხერხდა.

1963 წელს მცხეთის სასულიერო სემინარიის საფუძველზე ჩამყრელი უწმიდესსა და უნეტარესს ეფრემ II-სთან ერთად იყო შემოქმედელი ეპისკოპოსი ილია. 1988 წელს თბილისის სასულიერო აკადემიის დამაარსებელი ბრძანდება უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, რომელიც 2005-2009 წლებში კვლავ ხელმძღვანელობდა სასულიერო აკადემიას.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი დავით V

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დავით V ერისკაცობაში ხარიტონ ჯიბრაელისძე დევდარიანი დაიბადა 1903 წლის 24 მარტს შორაპნის მაზრის სოფელ მირონწმინდაში. 1917 წელს დაამთავრა სოფელ სარგავეშის არასრული სასწავლებელი, შემდეგ სწავლა განაგრძო ჭიათურის მღვიმევის მონასტერში. 1918 წლის ივლისში ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის ანტონის (გიორგაძე) ლოცვა-კურთხევით დაინიშნა მირონწმინდის წმინდა ნიკოლოზის სახელობის საკათედრო ტაძრის მედავითნედ. 1927 წელს მარგველმა ეპისკოპოსმა ვარლამმა (მახარაძემ) ხელი დაასხა დიაკვნად, იმავე წლის 27 თებერვალს აკურთხეს მღვდლად და განაწესეს სარგვეშის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად. 1928-1930 წლებში იყო ხარაგაულის რაიონის მთავარხუცესი.

1930-1932 წლებში იყო სიონის საპატრიარქო ტაძრის დეკანოზი.

1932-1945 წლებში მსახურობდა ქაშუეთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში,

1945-1947 წლებში კუკიის წმიდა ნინოს სახელობის ეკლესიაში,

1947-1956 წლებში ქაშუეთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარია.

1956 წლის 25 აგვისტოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი მელქისედეკ III ლოცვა-კურთხევით აღიკვეცა ბერად, 28 აგვისტოს არქიმანდრიტი დავითი აღყვანილ იქნა ურბნელ ეპისკოპოსად, მასვე ჩააბარეს მანგლისის ეპარქია და დანიშნეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსად. 1959 წელს უწმიდესისა და უნეტარესის მელქისედეკ III-ის ბრძანებით დაჯილდოვდა სკუფიზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლებით. 1962 წლის 18 თებერვალს უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ II-ის ბრძანებით მიეზოძა მიტროპოლიტობა. 1972 წლის 1 ივნისიდან 1977 წლის 9 ნოემბრამდე (გარდაცვალებამდე) იგი იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი დავით V-ის სახელწოდებით.

1972 წლის მაისიდან 1972 წლის სექტემბრამდე უწმიდესი და უნეტარესი დავით V ასრულებდა მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორის მოვალეობას.

1972-1977 წლებში მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი იყო წილკნელი მიტროპოლიტი გაიოზი (კერატიშვილი).

მიტროპოლიტი გაიოზი ერისკაცობაში ბიძინა ტიტეოს ძე კერატიშვილი დაიბადა 1945 წლის 24 თებერვალს საგარეჯოს რაიონის სოფელ წყაროსთავში. 1963 წელს დაამთავრა საგარეჯოს საშუალო სკოლა. 1965-1968 წლებში სწავლობდა თმ ისტორიის ფაკულტეტზე. 1969 წლიდან 1971 წლამდე სწავლობდა მცხეთის სასულიერო სემინარიაში. 1971 წელს უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II-მ აღიკვეცა ბერად და უწოდა სახელად გაიოზი. 1972 წლის 26 მარტს აკურთხეს წილკნელ ეპისკოპოსად. 1977 წლის 4 ივნისს უწმიდესმა და უნეტარესმა დავით V-მ მიტროპოლიტობა მიუბოძა.

მიტროპოლიტი გიორგი (შალამბერიძე)

მიტროპოლიტი გიორგი, ერისკაცობაში გური შალამბერიძე დაიბადა 1940 წლის 25 თებერვალს ბაღდადის რაიონ სოფელ ფერსათში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ II-ის ლოცვა-კურთხევით სწავლა განაგრძო ლენინგრადის (სანკ-პეტერბურგი) სასულიერო სემინარიაში, შემდეგ აკადემიაში, რომელიც დაამთავრა 1971 წელს. 1971 წლის 23 ნოემბერს უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II აკურთხა მღვდლად და დაავალა სასულიერო სემინარიაში წაეკითხა დოგმატური ღვთისმეტყველების კურსი. 1971-1974 წლებში იყო იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესიის მღვდელი.

1974-1978 წლებში მსახურობდა ქუთაისის პეტრე-პავლეს ეკლესიაში.

1978 წლის 16 მარტს უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-ემ აიყვანა დეკანოზის ხარისხში.

1978 წლის 16 მარტს დაინიშნა მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორად და სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის წინამძღვრის მოადგილედ. სემინარიის რექტორის მოვალეობას იგი ასრულებდა 1979 წლის 20 სექტემბრამდე.

1980-1988 წლებში იგი იყო სიონის საპატრიარქო ტაძრის პროტოპრესვიტერი.

1988 წლის 14 ოქტომბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით გამორჩეულ იქნა ჭყონდიდელ ეპისკოპოსად.

1994 წლიდან არის ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი, ხოლო 2000-2007 წლებში ჭყონდიდის მიტროპოლიტი.

2007 წლის 23 დეკემბრიდან მიტროპოლიტი გიორგი განაგებს თერჯოლისა და ტყიბულის (ისტორიული განაეთის) ეპარქიას. მიტროპოლიტი გიორგი არის ღვთისმეტყველების დოქტორი.

მიტროპოლიტი დავითი (ჭკადუა)

მიტროპოლიტი დავითი, ერისკაცობაში გრიგოლ ივანეს ძე ჭკადუა დაიბადა 1926 წლის 22 მარტს თბილისში სასულიერო პირის, ქაშუეთის წმიდა გიორგის ეკლესიის დეკანოზის იოანე ჭკადუას ოჯახში. პროფესიით ექიმი-სტომატოლოგი. 1978 წელს გახდა ეკლესიის მსახური, ჯერ მარტყოფის მონასტრის ბერ-დიაკონი, შემდეგ მღვდელმონაზონი, 1978 წელს უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით აღყვანილ იქნა ბათუმ-შემოქმედი ეპისკოპოსის ხარისხში.

1980 წლიდან ბათუმ-შემოქმედი მთავარეპისკოპოსია, 1983 წლიდან ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი, 1984 წლიდან ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი და საქართველოს ეკლესიის საგარეო განყოფილების თავმჯდომარე. მისი ხელმძღვანელობით ბათუმში აშენდა ახალი ეკლესია, გაიხსნა სამი ეკლესია, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში გაიხსნა 6 ეკლესია.

მიტროპოლიტი დავითი 1980-1983 წლებში იყო მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი.

მიტროპოლიტი დავითი გარდაიცვალა 1992 წელს. დაკრძალულია თბილისში, სიონის საპატრიარქო ტაძრის ეზოში.

მთავარეპისკოპოსი თადეოზი (იორამაშვილი)

მთავარეპისკოპოსი თადეოზი, ერისკაცობაში მირიან გაიოზის ძე იორამაშვილი დაიბადა 1946 წლის 12 ოქტომბერს გორის რაიონ სოფელ ფლავში. 1966 წელს დაამთავრა გორის რაიონის სოფელ ქვების საშუალო სკოლა.

1968-1973 წლებში სწავლობდა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1973-1974 წლებში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა ქვების საშუალო სკოლაში.

1973-1977 წლებში სწავლობდა მცხეთის სასულიერო სემინარიაში.

1977 წლის 2 აპრილს ალავერდელმა ეპისკოპოსმა გრიგოლმა თელავის ღვთაების მონასტერში აღკვეცა ბერად და უწოდა სახელი თადეოზი.

1977 წლის 7 აპრილიდან დიაკონია; 1. მაისიდან მღვდელმონაზონი. 1 ივნისიდან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი დავით V-ის მიერ დაინიშნა ალავერდის მონასტრის მღვდლად.

1978 წლის 7 აგვისტოს უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ღოცვა-კურთხევით აღყვანილ იქნა ეპისკოპოსის ხარისხში და ჩაბარდა ბოდბის ეპარქია. 1978 წლის 24 დეკემბრიდან ბოდბის ეპარქიიდან გადმოყვანილ იქნა წილკნელ მღვდელმთავრად.

1979 წლის 20 სექტემბრიდან 1980 წლის 1 ოქტომბრამდე მთავარეპისკოპოსი თადეოზი იყო მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი. 1979-1981 წლებში მართავდა მანგლისის ეპარქიას.

1984-1993 წლებში აგარაკ-წალკის ეპარქიას, 1993-1995 წლებში ცაგერისა და ლეჩხუმ-სვანეთის ეპარქიას, 1993-1995 წლებში ბოლნისისა და დმანისის ეპარქიას, 2005 წლის აპრილიდან დღემდე თიანეთის და ფშავ-ხევსურეთის ეპარქიის მმართველია.

მიტროპოლიტი ზოსიმე (შიოშვილი)

მთავარეპისკოპოსი ზოსიმე, ერისკაცობაში შოთა გიორგის ძე შიოშვილი დაიბადა 1951 წლის 3 აგვისტოს თბილისში.

1958-1968 წლებში სწავლობდა თბილისის 77-ე საშუალო სკოლაში.

1969-1972 წლებში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტზე.

1972-1974 წლებში მსახურობდა არმიაში.

1974-1977 წლებში სწავლობდა მცხეთის სასულიერო სემინარიაში.

1976 წლის ივნისში უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დავით V-ის ღოცვა-კურთხევით აკურთხეს დიაკვნად.

1977 წლის 12 ივლისს აკურთხეს მღვდლად და განაწესეს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში.

1977 წლიდან პედაგოგად მუშაობდა მცხეთის სასულიერო სემინარიაში, 1980 წლის 1 ოქტომბრიდან დაინიშნა სემინარიის ინსპექტორად.

1978 წლის 1 სექტემბრიდან 1980 წლის 1 ოქტომბრამდე მსახურობდა თბილისის მამა დავითის ეკლესიაში.

1980 წლის 14 ოქტომბერს აღიკვეცა ბერად და ეწოდა სახელად ზოსიმე.

1983 წლის 14 ოქტომბერს უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ღოცვა-კურთხევით აღყვანილ იქნა ეპისკოპოსის ხარისხში და დადგენილ იქნა ჭყონდიდელ ეპისკოპოსად.

1984 წლის იანვრიდან 1988 წლის სექტემბრამდე იყო მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი.

1988 წლის სექტემბრიდან 1994 წლის თებერვლამდე თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორია.

1984 წლის 20 ივლისიდან წილკნის ეპარქიის მმართველია.

1985-1988 წლებში აგრეთვე განაგებდა ურბნისის ეპარქიას.

1996 წლის 25 დეკემბერს აღყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში.

1984-1992 წწ. იყო საქართველოს საპატრიარქოს საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარე.

მიტროპოლიტი ზოსიმე ავტორია წიგნების: „ადიდებს სული უფალსა“, 1996 წ., „ვაქებდეთ უფალსა ჩემსა“ 1997წ. „დიდება ღმერთს ყველაფრისათვის“ 1997წ. „ცხოვრება ჩემი შემოდგომაა გრძელი“ 2002წ. „მოგონებები“ 2008წ. „მათეს სახარების განმარტება“ ტ.ტ. II „სახელმძღვანელო ძველი აღთქმის საღმრთო წიგნთა შესასწავლად“ წიგნი I 2003წ. წიგნი II 2005წ.

ეპისკოპოსი იოანე (გამრეკელი)

მამა გიორგი ეპისკოპოსი იოანე გამრეკელი დაიბადა 1946 წლის 28 ოქტომბერს თბილისში ცნობილ ისტორიკოსის პროფესორ ვახტანგ გამრეკელის ოჯახში.

1963 წელს დაამთავრა თბილისის 41-ე საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გეოლოგიის ფაკულტეტზე. საიდანაც გადავიდა რუსეთში ნოვოჩერკასკში და დაამთავრა გეოლოგიის ფაკულტეტი.

1970-1975 წლებში მუშაობდა ვალეს გეოლოგიურ ჯგუფში.

1975-1985 წლებში მუშაობდა თბილისის გეოლოგიურ სამმართველოში.

1983 წლიდან სიონის საპატრიარქო ტაძრის სტიქაროსანია.

1985-1988 წლებში სწავლობდა მცხეთის სასულიერო სემინარიაში.

1987 წელს აკურთხეს დიაკვნად.

1988 წელს მენელსაცხებელთა კვირას უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა აკურთხა მღვდლად.

1988 წლიდან მსახურობდა ახალგაზსნილ ანჩისხატის ეკლესიაში.

1989 წლის იანვრიდან სიონის საპატრიარქო ტაძარში.

1989 წლის 8 თებერვალს დაინიშნა სიონის საპატრიარქო ტაძრის პროტოპრესვიტერად და თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორად, ამ თანამდებობაზე იყო 1993 წლის 19 ივლისამდე.

1993 წლის 19 ივლისიდან პროტოპრესვიტერი გიორგი უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით დაინიშნა საქართველოს საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარედ.

1995 წელს არჩეულ იქნა გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. იგი ხელმძღვანელობს წმიდა წერილის ქართულ ენაზე მთარგმნელთა ჯგუფს. ჟურნალ „რწმენა და ცოდნას“, კითხულობს ლექციებს სასულიერო სემინარიათა და აკადემიაში.

2005 წლიდან არის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პრორექტორი.

2007 წლის 25 დეკემბერს უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ბრძანებით საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წინაშე გაწეული დვაწლისათვის დაჯილდოვდა წმიდა გიორგის პირველი ხარისხის ორდენით. 2008 წლის ივნისში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის განჩინებით

გამორჩეულ იქნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსად და ცურტავის ეპისკოპოსად.

დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტი აბრაამი

დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტი აბრაამი (ერისკაცობაში-ამირან მამიას ძე გარმელია) დაიბადა 1948 წლის 15 ნოემბერს ქალაქ სოხუმში. 1953 წლიდან მისი ოჯახი ცხოვრობს თბილისში.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც დაასრულა 1971 წელს. სხვადასხვა დროს ეწეოდა პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას.

1986 წელს ჩაირიცხა მცხეთის სასულიერო სემინარიაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1988 წელს.

1988 წლის 3 იანვარს წილკნელმა ეპისკოპოსმა ზოსიმემ (შიოშვილი) აღკვეცა ბერად და უწოდა სახელი აბრაამი. ამავე წელს 3 აპრილს მის მიერვე ხელდასმულ იქნა იეროდიაკვნად.

1988 წლის 29 მაისს სულთმოფენობის დღესასწაულზე თბილისის ანჩისხატის კურთხევის დღეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ აკურთხა მღვდელ-მონაზვნად. დაინიშნა დმანისის სიონის, ხოლო შემდეგ გელათის მონასტრის წინამძღვრად.

1989 წლის მაისიდან 1990 წლის ივლისამდე იმყოფებოდა ქ. რეგენსბურგის (გერმანია) აღმოსავლეთ ეკლესიათა ინსტიტუტში.

1990 წლის 1 სექტემბრიდან 1991 წლის 30 ოქტომბრამდე მსახურობდა თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში.

1990 წლის სექტემბრიდან თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში კითხულობდა ლექციებს ძველ აღთქმაში.

1991 წლის 21 ოქტომბერს, ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის მიერ აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში, ხოლო 30 ოქტომბრიდან დაინიშნა სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის წინამძღვრის მოადგილედ.

1992 წლის 21 დეკემბერს საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის განჩინებით დადგენილ, ხოლო 25 დეკემბერს ხელდასმულ იქნა ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად.

1993 წლის 19 ივლისიდან 2003 წლის 1 თებერვლამდე იყო თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი.

1995 წლის 20 ივნისიდან 2002 წლის 17 ოქტომბრამდე იყო საქართველოს საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილების თავმჯდომარე.

1996-1998 წლებში იყო საგარეჯოსა და გურჯაანის, ხოლო 1998-2002 წლებში ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის მმართველი.

1996 წლის 25 დეკემბერს აღყვანილია მთავარეპისკოპოსის, ხოლო 2000 წლის 28 ნოემბერს – მიტროპოლიტის ხარისხში.

2002 წლის 17 ოქტომბერს წმინდა წინოდის განჩინებით დაინიშნა ახლადშექმნილი დასავლეთ ევროპის ეპარქიის მმართველად. 2008 წლის 16 დეკემბერს უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ბრძანებით მიენიჭა სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლება.

მიღებული აქვს კონსტანტინოპოლის, საქართველოს, რუსეთისა და რუმინეთის ეკლესიათა ჯილდოები.

მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე)

მეუფე თეოდორე ერისკაცობაში დიმიტრი ალექსანდრეს ძე ჭუაძე დაიბადა 1967 წელს სიდნაში. 1974 წელს ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა თელავში. 1984 წელს თელავის მე-4 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, საიდანაც გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში.

1991 წელს დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

1989 წლიდან სწავლობდა საფარის სასულიერო სემინარიაში.

1991 წელს აღიკვეცა ბერად. საფარის მონასტერში, იმავე წელს უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ღოცა -კურთხევით გახდა ჯერ ბერდიაკონი, შემდეგ მღვდელ-მონაზონი.

1992 წელს დაინიშნა საფარის მონასტრის წინამძღვრად.

1994 წელს გახდა იღუმენი.

1996 წელს ხელდასხმულ იქნა ეპისკოპოსად და დაინიშნა ბოდბის ეპარქიის მმართველად. 1999 წლიდან ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქიის მმართველია.

2003 წელს აღყვანილ იქნა მათავარეპისკოპოსის, 2007 წელს მიტროპოლიტის ხარისხში.

2004 წლის სექტემბრიდან 2005 წლის დასაწყისამდე მეუფე თეოდორე იყო თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი.

2005 წლის 1 თებერვლიდან არის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი.

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე

დაიბადა 1963 წლის 22 ივნისს, წყალტუბოს რაიონის სოფ. გუმბრაში. მონათლა ოთხი წლის ასაკში.

1980 წელს დაამთავრა ქ. ხაშურის №4 საშუალო სკოლა.

1982 წელს დაქორწინდა და ჯვარი დაიწერა ლალი გაგნიძეზე.

1992 წელს წარჩინებით დაასრულა ჯერ თბილისის სასულიერო სემინარია, ხოლო 1996 წელს – თბილისის სასულიერო აკადემია.

თბილისის სასულიერო აკადემიაში სწავლის დროს იყო შოთა რუსთაველისა და მერაბ კოსტავას სახელობის სტიპენდიანტი.

1992 წლიდან ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების რესპუბლიკურ ინსტიტუტში, ეროვნულ უნივერსიტეტში.

1996 წლის 6 მაისს ქვაშეთის წმ. გიორგის სახელობის ტაძარში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის მიერ ხელდასმულ იქნა დიაკვანად.

1996 წლის 1 ივნისს დიაკონი გიორგი ზვიადაძე დაინიშნა თბილისის სასულიერო სემინარიის დეკანად.

1996 წლის 18 აგვისტოს სიონის საკათედრო ტაძარში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის მიერ ხელდასმულ იქნა მღვდლად და დაინიშნა გლდანის ღომისის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის მოძღვრად.

1997 წელს დაინიშნა თბილისის სასულიერო აკადემიის საღვთისმეტყველო ფაკულტეტის დეკანად.

1997 წლის 1 ივნისს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ბრძანებით დაინიშნა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პრორექტორად.

1997 წლის 14 ოქტომბერს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის მიერ აღყვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში და დაჯილდოვდა ოქროს ჯვრით.

1997 წლის 14 თებერვალს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ღოცვა-კურთხევით დაინიშნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან დაფუძნებული მეცნიერების ისტორიის შემსწავლელი საზოგადოების საღვთისმეტყველო განყოფილების თავმჯდომარედ.

1997 წლიდან არის საპატრიარქოში შექმნილი საღვთისმეტყველო კომისიის წევრი.

1998 წელს დაასრულა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტურა ძველი ქართული ლიტერატურის სპეციალობით.

1998 წელს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ვიზიტის დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლობამ, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ღოცვა-კურთხევით, დეკანოზი გიორგი ზვიადაძე დააჯილდოვა გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით.

1998 წლის 5 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ბრძანებით დეკანოზი გიორგი ზვიადაძე სასულიერო აკადემიაში ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის დაჯილდოვდა პატრიარქის საპატიო სიგელით.

1998-2000 წლებში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II ღოცვა-კურთხევით, იყო საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენელი განათლების სამინისტროსთან არსებული რელიგიის ისტორიის სასწავლო-მეთოდურ საბჭოში.

1999 წლიდან დეკანოზი გიორგი ზვიადაძე არის მართლმადიდებელ ეკლესიასა და რომის კათოლიკურ ეკლესიას შორის საღვთისმეტყველო დიალოგის ერთობლივი საერთაშორისო კომისიის წევრი.

2000 წელს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ბრძანებით დეკანოზი გიორგი ზვიადაძე დაინიშნა სიონის ღვთისმშობლის მიძინების საპატრიარქო ტაძრის ღვთისმსახურად.

2001-2009 წლებში დეკანოზი გიორგი ზვიადაძე მართლმადიდებელ ეკლესიასა და ანგლიკანურ ეკლესიას შორის საღვთისმეტყველო დიალოგის ერთობლივი საერთაშორისო კომისიის წევრი იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიიდან.

2002 წლის 1 ივნისს, წმ. ნინოს ხსენების დღეს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მიერ დეკანოზი გიორგი ზვიადაძე ეკლესიაში ერთგული მსახურებისათვის დაჯილდოვდა მიტრის ტარების უფლებით.

2003 წელს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ბრძანებით დეკანოზი გიორგი ზვიადაძე დაინიშნა საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდ „ლაზარეს“ დირექტორად.

2003 წელს, 8 თებერვალს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ბრძანებით, დეკანოზი გიორგი ზვიადაძე დაინიშნა პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის „სულიერების, მეცნიერების, კულტურის აღორძინება და განვითარება“ ადმინისტრაციულ მდივნად.

2004 წელს საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე „წმ. გრიგოლ ნოსელის „ქალწულებისა და საღმრთოისა მოქალაქობისა“ (ფილოლოგიურ-თეოლოგიური ანალიზი).

2006 წელს დეკანოზი გიორგი ზვიადაძე დაინიშნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქრისტიანული თეოლოგიისა და რელიგიის ისტორიის კომისიის სწავლულ მდივნად.

2004 წელს დაასრულა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა კულტურის უნივერსიტეტი ინგლისური ენის სპეციალობით, ხოლო 2006 წელს – ამავე უნივერსიტეტის ინგლისური ენის სინქრონული თარგმანის უმაღლესი კურსები მთარგმნელ-თარჯიმნის კვალიფიკაციით.

2005 წლიდან არის თბილისის სასულიერო აკადემიასთან არსებული საღვთისმეტყველო ინსტიტუტის პრორექტორი.

2006 წლის 6 მაისს, წმ. გიორგის ხსენების დღეს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ბრძანებით დეკანოზი გიორგი ზვიადაძე დაჯილდოვდა მეორე ჯერის ტარების უფლებით და დაინიშნა ქვაშვეთის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვრად.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, დეკანოზი გიორგი ზვიადაძე 2007 წლიდან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელია საერთაშორისო დიალოგში მართლმადიდებელ ეკლესიასა და იუდაიზმს შორის.

2008 წლის 1 ოქტომბერს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ბრძანებით დეკანოზი გიორგი ზვიადაძე დადგენილ იქნა

პროტოპრესვიტერად და დაინიშნა სიონის ღვთისმშობლის მიძინების საპატრიარქო ტაძრის წინამძღვრად.

2009 წელს დაასრულა საქართველოს უნივერსიტეტის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების სკოლა მაგისტრის ხარისხით.

2009 წლის 23 ოქტომბერს პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე დაინიშნა სასულიერო სემინარიისა და აკადემიის რექტორად.

პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე დაჯილდოვებულია ანტიოქიის იერუსალიმის, საბერძნეთის, ჩეხეთისა და სლოვაკიის ეკლესიათა ორდენებით.

პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე არის არაერთი საღვთისმეტყველო და სამეცნიერო გამოცემის რედაქტორი, კონსულტანტი და რეცენზენტი. მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაში.

გამოქვეყნებული შრომები

1. ყოვდაწმინდა ღვთისმშობლის ხარებისადმი მიძღვნილი საკითხავები ქართულ საეკლესიო ტრადიციაში; ლიტერატურული ძიებანი, XXI, თბ., 2000.
2. ალექსანდრე ალექსანდრიელი, სიტყვა სულის, სხეულისა და უფლის ვნების შესახებ, ბერძნულიდან თარგმნა დეკანოზმა გიორგი ზვიადაძემ; სამეცნიერო-საღვთისმეტყველო შრომები, 1, თბ., 1999.
3. წმინდა პოლიკარპე სმირნელი ეპისტოლე ფილიპელთა მიმართ, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო დეკანოზმა გიორგი ზვიადაძემ, თბ., 1998.
4. წმიდა კლიმენტი რომაელი, კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლე, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო დეკანოზმა გიორგი ზვიადაძემ, თბ., 1998.
5. წმინდა გრიგოლ ნოსელის ასკეტური შრომის ეფეთიმესეული თარგმანის მიმართება ორიგინალთან; საღვთისმეტყველო კრებული, თბ., 2004 №2.
6. ბიბლიური ციტაცია წმ. გრიგოლ ნოსელის ასკეტური შრომის ეფთვიმე ათონელისეულ თარგმანში, თბილისის სასულიერო აკადემიის სამეცნიერო შრომები, I, თბ., 2009.

თბილისის სასულიერო აკადემიის და სემინარიის საღვთისმეტყველო ინსტიტუტის ფაკულტეტები, დეკანები.

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პრორექტორი სამეცნიერო დარგში ფილოლოგიის დოქტორი დეკანოზი, მიქაელი (გალდავა)

დაიბადა 1970 წლის 26 თებერვალს მარტვილში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1987-1993 წლებში სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1988-1989 წლებში

მსახურობდა არმიაში, 1993-1996 წლებში მუშაობდა მარტვილის რაიონის სოფელ ინჩხურის საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1996-2001 წლებში სწავლობდა თბილისის სასულიერო აკადემიის საღვთისმეტყველო ფაკულტეტზე. 1998-2001 წლებში რედაქტორობდა საგარეჯოს ეპარქიის გაზეთ „მოამბეს“, ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის გაზეთ „მწყემსსა“ და ჟურნალ „სავანეს“.

1999-2002 წლებში გაიარა ასპირანტურის კურსი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში. 1998 წლიდან კითხულობს ლექციებს სასულიერო აკადემიასთან არსებულ საღვთისმეტყველო ინსტიტუტში, 2001 წლის ივლისში უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-ემ სიონის საკათედრო ტაძარში ხელი დაასხა დიაკვნად, იმავე წლის ნოემბერში მღვდლად. 2004 წელს დაჯილდოვებულ იქნა ოქროს ჯვრით და აღყვანილი იქნა დეკანოზის ხარისხში.

2003-2004 წლებში მუშაობდა საღვთისმეტყველო ინსტიტუტის ქრისტიანული ანთროპოლოგიის ფაკულტეტის დეკანად, ხოლო 2007 წლიდან არის იყო სასულიერო აკადემიის საღვთისმეტყველო ფაკულტეტის დეკანი. იგი თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში კითხულობს სალექციო კურსს ახალ აღთქმასა და ჰომილეტიკა-რიტორიკაში. 2009 წლის 27 ოქტომბერს დაიცვა **სადოქტორო დისერტაცია თემაზე**

2009 წლის 26 ოქტომბრიდან დაინიშნა სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პრორექტორად სამეცნიერო დარგში.

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პრორექტორი სასწავლო დარგში დეკანოზი გელასი (ნატროშვილი)

დაიბადა 1961 წლის 27 იანვარს დედოფლისწყაროს რაიონ სოფელ ზემო მაჩხაანში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1977 წლიდან მუშაობდა საქ.კპ. ცკ-ს გამომცემლობაში.

1980-1985 წლებში სწავლობდა ა.ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

1985-1987 წლებში მუშაობდა მცხეთის რაიონის სოფელ ქსოვრისის საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1987 წლიდან 1989 წლამდე მუშაობდა გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციაში სასკოლო განყოფილების კორესპოდენტად. 1989-1991 წლამდე მუშაობდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“, („კომუნისტი“) განყოფილებაში.

1991-1997 წლებში მუშაობდა გაზეთ „ქომაგის“ რედაქტორის მოადგილედ.

1998-2002 წლებში სწავლობდა თბილისის სასულიერო აკადემიაში.

2000 წლის 27 იანვარს უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-ემ აკურთხა დიაკვნად, 16 ივლისს მღვდლად. 2004 წლის 14 სექტემბერს აღყვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში.

2003 წლიდან მუშაობდა თბილისის სასულიერო სემინარიის დეკანად.

2009 წლის 26 ოქტომბერს დაინიშნა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პრორექტორად სასწავლო დარგში.

სადღთისმეტყველო ინსტიტუტის ხელოვნებათმცოდნეობისა და რელიგიათმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი თეა ბეჟუაშვილი

დაიბადა 1967 წლის 11 სექტემბერს ქ. თბილისში 1984 წელს დაამთავრა №3 ფიზიკა-მათემატიკური ექსპერიმენტული საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1989 წელს. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა ასპირანტურაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1991 წელს. ამავე წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორად ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით.

1991-1994 წწ. სწავლობდა და წარჩინებით დაამთავრა ჰუმანიტარული ინსტიტუტის სპეც. ფაკულტეტი ინგლისური ენის მთარგმნელ-რეფერენტის სპეციალობით.

1991-1995წწ.სწავლობდა თბილისის სასულიერო აკადემიის ქრისტიანული ხელოვნების ფაკულტეტზე.

თბილისის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ, 1995-1996წწ. მუშაობდა საქართველოს საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილებაში.

1996-1999წწ. მუშაობდა თბილისის სასულიერო აკადემიაში ქრისტიანული ანთროპოლოგიის ფაკულტეტის დეკანად.

1999-2001წწ. მუშაობდა თბილისის სასულიერო აკადემიაში ქრისტიანული ანთროპოლოგიისა და ქრისტიანული ხელოვნების ფაკულტეტების დეკანად.

2001 წლიდან დღემდე მუშაობს თბილისის სასულიერო აკადემიასთან არსებული სადღთისმეტყველო ინსტიტუტის ხელოვნებათმცოდნეობისა და რელიგიათმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანად.

მონაწილეობას იღებდა ევროპაში რელიგიური განათლების ქსელის (The Religious Education Network in Europe_Switzerland) მიერ ორგანიზებულ კონფერენციებსა და სემინარიებში. ჰყავს მეუღლე და 2 შვილი.

სადღთისმეტყველო ინსტიტუტის ფსიქოლოგიისა და რელიგიათმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი გრიგოლ ხაჭაპურიძე

დაიბადა 1972 წლის 13 აგვისტოს ხაშურში.

1979-1989 წლებში სწავლობდა ხაშურის №4 საშუალო სკოლაში.

1989-1993 წლებში შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში.

1995-1996 წლებში მუშაობდა ხაშურის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში.

1996-2001 წლებში სწავლობდა თბილისის სასულიერო აკადემიის სადღთისმეტყველო ფაკულტეტზე. რომლის დამთავრების შემდეგ ლექციებს კითხულობდა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში, მასწავლებელთა დახელოვნებისა და გადამზადების ინსტიტუტში.

2003 წლიდან თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პედაგოგია
2004 წელს უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-
პატრიარქის ილია II-ის ღოცვა-კურთხევით ფსიქოლოგიისა და
რელიგიათმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი.

საღვთისმეტყველო ინსტიტუტის ხატწერის რესტავრაციისა და გამოყენებითი
ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი მღვდელი იოსებ ვანიძე.

დაიბადა 1958 წლის 18 აპრილს ოზურგეთის რაიონის სოფელ ბოხვაურში.
საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო მ. თოიძის სახელობის
სამხატვრო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1979 წელს 1980-1984 წლებში
მუშაობდა მ. თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში საწარმოოს
სწავლების ოსტატად. 1984-1990 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრში.

1990-1996 წლებში სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში ფერწერა-
რესტავრაციის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ იყო სტიქაროსანი.
1998 უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
ღოცვა-კურთხევით აკურთხეს დიაკვნად.

2000 წლის 26 ნოემბერს მღვდლად სიონის საპატრიარქო ტაძარში.

2005 წლის ოქტომბერში მამა იოსები უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ღოცვა-კურთხევით დაინიშნა თბილისის
სასულიერო აკადემია სემინარიასთან არსებული საღვთისმეტყველო ინსტიტუტის
ხატწერის, რესტავრაციისა და გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტის დეკანად.

ძ. თბილისის სასულიერო აკადემიასთან არსებული სამკლესიო ბალობისა და ხალხური სიმღერის უმაღლესი სასწავლებელი

2006 წლის 10 თებერვალს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
ილია II ღოცვა-კურთხევითა და ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილის ინიციატივით
პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდთან მისი სტრუქტურული
ერთეულის სახით დაფუძნდა "ქართული საგალობლისა და სიმღერის
საერთაშორისო ცენტრი", რომელმაც მიზნად დაისახა ქართული კანონიკური
საეკლესიო გალობის, ქართული ხალხური სიმღერებისა და მუსიკალური
საკრავების შესწავლისა და სწავლებისა ხელშეწყობისათვის რეგენტებისა და
ლოტბარების მომზადების უმაღლესი სასულიერო სასწავლებლის დაფუძნება.

ცენტრის გამგეობის თავმჯდომარედ თბილისის წმინდა დავით გარეჯელის
სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი **ბასილი (სელევან კიკვაძე -
ამჟამად არქიმანდრიტი იოანე)** დაინიშნა, თანათავმჯდომარედ-საქართველოს
სახალხო არტისტი, ანსამბლ "რუსთავის" სამხატვრო ხელმძღვანელი, ცნობილი

ლოტბარი ანზორ ერქომაიშვილი. ცენტრის გენერალურ მდივანად - ისტორიკოსი ბადრი ბერაია, ცენტრის მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარედ - ბიზნესმენი ივანე ჩხარტიშვილი.

ცენტრთან შეიქმნა მუშა ჯგუფი, რომელმაც ამ მიმართულებით მომუშავე გამოცდილი და პროფესიონალი კადრები გააერთიანა. ჯგუფის საქმიანობის სედეგად შესაძლებელი გახდა სასწავლებელი იმავე წელვე დაფუძნებულიყო. 2006 წლის 19 სექტემბერს სასწავლებლის პრეზენტაციაზე ქართველი საზოგადოების წინაშე წარდგენილ იქნა სასწავლებლის შენობა, სასწავლო კლასები, ლექტორ-მასწავლებლები და სასწავლებლის კონცეფცია. მალე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II 2006 წლის 3 ოქტომბრის №100 ბრძანებით ქ. თბილისის სასულიერო აკადემიასთან დაფუძნდა საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის უმაღლესი სასწავლებელი. სასწავლებლის დეკანი გახდა ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე თბილისის წმინდა დავით გარეჯელის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი ბასილი (სელეგან კიკვაძე - ამჟამად არქიმანდრიტი იოანე).

ნოემბერში სასწავლებელმა სტუდენტთა მიღება გამოაცხადა. დეკემბერში ჩატარდა მისაღები გამოცდები და დეკემბერშივე დაიწყო სასწავლო პროცესი. სასწავლებელში ფუნქციონირებს 2 ძირითადი სახელოსნო, რომელთაც ცნობილი ლოტბარები ანზორ ერქომაიშვილი და მალხაზ ერქვანიზე ხელმძღვანელობენ. სასწავლებელი ჯერ-ჯერობით მხოლოდ ვაუქებს იღებს. გარდა ტრადიციული ქართული სიმღერისა და გალობისა, სტუდენტები სწავლობენ ხალხურ საკრავებს, საქართველოსა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიას, ძველ და ახალ ქართულ ენასა და ლიტერატურას, ქრისტიანული ხელოვნების ისტორიას, საეკლესიო მუსიკის ისტორიასა და თეორიას, ხალხური მუსიკალური შემოქმედების ისტორიას, საღვთო სჯულს, ლიტურგიკას, ლიტურგიკულ კითხვას, ინგლისურს, სოლფეჯიოს, მუსიკის თეორიას. სასწავლებელში ასევე ფუნქციონირებს მოსამზადებელი განყოფილება და გუნდი. წელს სასწავლებელმა მესამე მიღება ჩაატარა.

ცენტრის ხელშეწყობით სასწავლებელთან ფუნქციონირებს ოზურგეთის (2006წლიდან), სნოს (2007წლიდან) და სტეფანწმინდის (2008 წლიდან) რეგიონული სკოლები. ანალოგიური სკოლების გახსნა დაგეგმილია სხვა რაიონებშიც, რათა შეიქმნას ტრადიციების ქართული მუსიკალის სწავლების ერთიანი ქსელი.

წმიდა თამარ მეფის სახელობის მოწყალეების დებისა და სოციალური მედიცინის ინსტიტუტი

წმიდა თამარ მეფის სახელობის მოწყალეების დებისა და სოციალური მედიცინის ინსტიტუტი თბილისის სასულიერო აკადემიის სტრუქტურაში 2006 წელს შეიქმნა უკვე არსებული მოწყალეების დების სასწავლებლის ბაზაზე. სასწავლებელი 2004 წელს დაარსდა საქართველოს საპატრიარქოს, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაცია “ბიოეთიკური კვლევისა და კულტურის ცენტრის” ერთობლივი ინიციატივისა და შეთანხმების საფუძველზე.

ინსტიტუტის შექმნის მიზანი გახლდათ სამედიცინო საზოგადოების შევსება იმგვარი კატეგორიის პერსონალით (მოწველების დებით, ტრადიციული მედიცინის ექსპერტებით, ფსიქოთერაპევტებით), რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო ან სრულიად არ არსებობს ამჟამად, ან საჭიროებს სახეცვლილებასა და სრულყოფას პროფესიული, ორგანიზაციული და სულიერ-ზნეობრივი თვალსაზრისით.

ამ მიზნის მიღწევის გზაზე წარმატებით უნდა გადაწყდეს აგრეთვე ეკლესიური და სოციალურ-მეცნიერული მსოფლმხედველობის შერწყმის, სარწმუნოებრივი და მეცნიერული ცოდნის ინტეგრაციის, სამედიცინო განათლების სისტემის საკრალიზაციის, ავადმყოფის მოვლის ორგანიზაციული და სულიერ-ზნეობრივი, ბიომედიცინისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ბიოეთიკური პრობლემები და დილემები.

ინსტიტუტს სათავეში უდგას ინსტიტუტის დეკანი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, იღუმენი ადამი (ახალაძე). ინსტიტუტში 3 ფაკულტეტზე მიმდინარეობს სწავლება. ესენია: 1. მოწველების დის საქმე; 2. ტრადიციული მედიცინა; 3. ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქოთერაპია.

მოწველების დებისა და სოციალური მედიცინის ინსტიტუტის კურსდამთავრებულები და სტუდენტები პრაქტიკულ საქმიანობას უკვე ეწევიან სხვადასხვა სამკურნალო დაწესებულებაში (საპატრიარქოს წმ. იოაკიმესა და ანას სახ. სამშობიარო სახლი, სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი “სონოკურმედი”, დუდუშაურის სახ. ეროვნული ცენტრი და სხვ.). განსაკუთრებით დიდია მოთხოვნა მოწველების დებზე. ფსიქოთერაპევტების პირველი გამოშვება კი მხოლოდ მომავალ წელს შედგება.

პედაგოგებად მოწვეული არიან პროფესორები: გურამ კაციტაძე, ეთერ ქემერტელიძე, გიორგი ნანეიშვილი, დარეჯან გაბუნია, ნოდარ ხოდელი, მაკრინე უშიკიშვილი, აკაკი ბაქრაძე, სერგო ვარდოსანიძე, ზურაბ ბერია, ელენე ნიკობაძე, ნინო ოკრიბელაშვილი, დეთისმსახურები: იღუმენი ადამ ახალაძე, მამა იაკობ უშიკიშვილი, მამა თეიმურაზ თათარაშვილი და სხვები.

ინსტიტუტში ერთდროულად 70-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს.

2010 წლის იანვრიდან მოწველების დებისა და სოციალური მედიცინის ინსტიტუტი იქმნება როგორც დამოუკიდებელი საქართველოს საპატრიარქოს წმ. თამარ მეფის სახელობის მედიცინის ინსტიტუტი, რომელიც გაივლის აკრედიტაციას და დააკმაყოფილებს საჯარო სასწავლებლის იურიდიული პირის სტატუსს. არსებულ სპეციალობებს დაემატა პრევენციული, სოციალური მედიცინისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი, რეაბილიტაციისა და ფიზიკური მედიცინის ფაკულტეტი. ინსტიტუტის რექტორია არქიმანდრიტი ადამი (ახალაძე).

სადეთისმეტყველო ინსტიტუტის მოწველების დების ინსტიტუტის რექტორი არქიმანდრიტი ადამი (ერისკაცობაში ვახტანგ ახალაძე).



იღუმენი ადამი (ერისკაცობაში - ვახტანგ მიხეილის ძე ახალაძე) თბილისის ყოვლადწმიდა სამების ლავრის მღვდელმსახურია, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს საპატრიარქოს ჯანდაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე.

მამა ადამმა 1984 წელს წარჩინების დიპლომით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი და სწავლა განაგრძო კლინიკურ ორდინატურაში მოსკოვში, ა. ნ. ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტში.

1990 წელს იქვე დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

1991 წელს დაბრუნდა საქართველოში და მუშაობა განაგრძო ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტის გულის ქირურგიის კლინიკაში.

1994-1999 წლებში მუშაობდა საქართველოს საპატრიარქოში ექიმად. იყო საქველმოქმედო საბჭოს წევრი.

1999 წლიდან არის ჯანდაცვის სამინისტროს ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს წევრი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქირურგიის კათედრის პროფესორი. 2003 წლიდან – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი, ქართული სამედიცინო ენციკლოპედიის სამეცნიერო-საკონტროლო რედაქციის გამგე.

1994-2002 წლებში ხელმძღვანელობდა საპატრიარქოსთან არსებულ სატელევიზიო შემოქმედებით ჯგუფს. შექმნა 30-მდე საავტორო ტელეგადაცემა.

2001 წელს ჩამოაყალიბა არასამთავრობო ორგანიზაცია – ბიოეთიკური კვლევისა და კულტურის ცენტრი. ამ ცენტრმა საფუძველი ჩაუყარა მოწყალეების დების სასწავლებელს, რომლის ბაზაზედაც 2006 წელს თბილისის სასულიერო აკადემიასთან დაარსდა წმინდა თამარ მეფის სახელობის მოწყალეების დებისა და სოციალური მედიცინის ინსტიტუტი.

2006 წლის სექტემბრიდან დაინიშნა წმიდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამშობიარო სახლის გენერალურ დირექტორად. არის ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოსა (CCM) და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ეროვნული საბჭოს წევრი.

2004 წლის 4 აპრილს აღიკვეცა ბერმონოზვნად თბილისის თაბორის მთის ფერისცვალების მამათა მონასტერში. იმავე წლის 19 დეკემბერს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ლავრის საკათედრო ტაძარში უწმიდესისასა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მიერ ხელდასხმულ იქნა მღვდელმონოზვნად.

2005 წლის 27 სექტემბერს ჯვართამაღლების დღესასწაულზე უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ აღიყვანა იღუმენის ხარისში.

ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას. არის 60-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი. გამოქვეყნებული აქვს 70-ზე მეტი მხატვრული და პუბლიცისტური სტატია.

2006 წლის 28 სექტემბერს არჩეულ იქნა საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრად – აკადემიკოსად.

მამა ადამის მეცნიერული კვლევის სფეროებია: მედიცინის თეორია, ფილოსოფია და ისტორია, ბიოეთიკა, სოციალური და პრევენციული მედიცინა, ჯანდაცვის მენეჯმენტი, სამედიცინო ფსიქოლოგია, რწმენისა და ცოდნის ურთიერთმიმართება, სამედიცინო განათლების პედაგოგიკა.

თბილისის სასულიერო აკადემიის, სემინარიისა და საღვთისმეტყველო ინსტიტუტის კათედრები, კათედრათა გამგეები.

საქართველოს ისტორიის კათედრა

უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, სასულიერო აკადემიის რექტორის მეუფე აბრაამის 1994 წლის 2 აგვისტოს ბრძანებით სასულიერო აკადემიაში გაიხსნა საქართველოს ისტორიის კათედრა

საქართველოს ისტორიის კათედრა უზრუნველყოფს სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში, საღვთისმეტყველო ინსტიტუტის სპეციალობებზე საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის, საქართველოს ეკლესიის ისტორიის, ზოგადი ეკლესიების ისტორიის კურსების წაკითხვას. კათედრა ხელმძღვანელობს სტუდენტთა სამეცნიერო სადიპლომო და საკურსო სამუშაოებს. კათედრის წევრები იკვლევენ ზოგადი ეკლესიის, საქართველოს ეკლესიის, საქართველოს ისტორიის აქტუალურ პრობლემებს. საქართველოს ისტორიის კათედრის ინიციატივით ჩატარდა სამეცნიერო კონფერენციები უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-სადმი საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის 90-წლისთავისადმი, უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი.

საქართველოს ისტორიის კათედრას 1994 წლიდან ხელმძღვანელობს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე. კათედრაზე მოღვაწეობენ: აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე, პროფესორი-მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), პროფესორები: ელდარ ბუბულაშვილი, ვახტანგ გურული, მერაბ ვაჩნაძე, ნათელა გაფრინდაშვილი, გვანცა კოპლატაძე, ბეჟან ჯავახია, მარიკა მშვილაძე, თამარ ფხალაძე, დეკანოზი გიორგი (საბიაშვილი); კათედრის ლაბორანტია ისტორიის დოქტორი გიორგი მაისურაძე

საქართველოს ისტორიის კათედრების გამგე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე

სერგო ვარდოსანიძე დაიბადა 1956 წლის 2 იანვარს ზესტაფონის რაიონ სოფელ ზოვრეთში. მოინათლა 5 წლის ასაკში. ნათლობის წესი აღასრულა უბისის ეკლესიის წინამძღვარმა მამა იაკინთე სახვაძემ.

1974-1979 წლებში სწავლობდა სულხან-საბა ორბელიანის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც

დაამთავრა წარჩინებით და მუშაობა დაიწყო თბილისის №1 რესპუბლიკურ ექსპერიმენტულ საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად, 1983-1985 წლებში იყო ამავე სკოლაში დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში.

1985-1988 წლებში გაიარა ასპირანტორის კურსი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში პროფესორ მიხეილ გაფრინდაშვილის ხელმძღვანელობით.

1989 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „გიორგი წერეთელი და XIX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის პრობლემები“

1988 წელს არჩეულ იქნა წლის საუკეთესო მასწავლებლად. მიენიჭა საქართველოს განათლების წარჩინების წოდება და მედალი 1989-1990 წლებში იყო საქართველოს ახალგაზრდა პედაგოგთა ასოციაციის პრეზიდენტი.

1989 წლიდან 1993 წლამდე მუშაობდა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის დოცენტად. 1993 წლიდან 2005 წლამდე იყო ისტორიის ფაკულტეტის დეკანი, საქართველოს ისტორიის კათედრის პროფესორი. 1994 წლის 2 აგვისტოდან თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგეა.

2002 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საქართველოს მართმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში“ და მიენიჭა ისტორიის მეცნიერება დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

2004 წელს მიენიჭა პროფესორი სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება

2004-2005 წლებში მუშაობდა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში პრორექტორად სამეცნიერო მუშაობის დარგში.

2006 წლიდან არის კავკასიის სამართლის სკოლის სრული პროფესორი. გამოქვეყნებული აქვს ცალ-ცალკე წიგნები: „უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები: კირიონი, ლეონიდე, ამბროსი, კალისტრატე, ევრემი, ილია II საქართველოს მართმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში.“ ქართული ეროვნული ცნობების პრობლემები XIX-XXსს-ში. თანაავტორია „ისტორიის სწავლების მეთოდოლოგია“, „საქართველოს ისტორია“ (სახელმძღვანელო VII კლასისათვის), საქართველოს ეკლესია XIX-XX საუკუნეებში (ინგლისურ ენაზე ჟენევა, 2006წ.), „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უნეტარესი ქრისტეფორე III, თბ., 2009“.

თბილისის სასულიერო აკადემიის ღვთისმეტყველების კათედრა

ღვთისმეტყველების კათედრა შეიქმნა 1998 წელს უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ღოცვა-კურთხევითა და სასულიერო აკადემიის რექტორის მთავარეპისკოპოსის აბრაამის ბრძანებით. ღვთისმეტყველების კათედრის გამგედ დაინიშნა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ედიშერ ჭელიძე, როგორც კათედრის გამგე მიიჩნეეს „კათედრამ სისტემური მოწესრიგებული სახე უნდა მისცეს იმ საღვთისმეტყველო-სამეცნიერო მოღვაწეობას, რა აქამდე გაფანტულად და ნაწილობრივ სტიქიურად მიმდინარეობდა აკადემიის შიგნით და მის გარეთ. კათედრამ სერიოზული მუშაობა გასწია, რათა აღდგენილიყო ცოცხალი კავშირი საღვთისმეტყველო აზროვნების

წიადთან მეცნიერული თარგმანებისა და წყაროთმცოდნეობით გამოკვლევების შექმნის გზით. ღვთისმეტყველების კათედრამ თავისი არსებობის ათი წელის მანძილზე გამოსცა უმნიშვნელოვანესი შრომები.“

ღვთისმეტყველების კათედრის გამგე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ედიშერ ჭელიძე

დაიბადა 1959 წლის 4 აგვისტოს ქ. ოზურგეთში.

1975 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა (1980წ) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ასპირანტურაში ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილებაში.

1984 წლიდან ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელია.

1986 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „გრიგოლ ნოსელის კოსმოგონიური თხზულების „პეტრეს მიმართ ძმისა თვისისა პასუხი ექუსთა მათ დღეთათვის“ ქართული თარგმანი“ და მოიპოვა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

1988 წლიდან თბილისის სასულიერო აკადემიასა და საღვთისმეტყველო ინსტიტუტში კითხულობს პატროლოგიის კურსს.

1990 წლიდან მუშაობს ხელნაწერთა ინსტიტუტში უფროს მეცნიერთანამშრომლად.

1994 წელს დააფუძნა ჟურნალი „გზა სამეფო.“

1997 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია.“

1998 წლიდან თბილისის სასულიერო აკადემიის საღვთისმეტყველო კათედრის გამგეა

გამოქვეყნებული აქვს: „წმინდა გრიგოლ ნოსელი: პასუხი ექუსთა მათ დღეთათვის, ეკლესია-სახლი უფლისა“, „იოანე პეტრიწის ცხოვრება და მოღვაწეობა“ „ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია“, „დოგმატურ-ისტორიული საკითხები“ „ადამიანი-ხატი პირმშოხატისა.“ „ანტიერეტიკონი,“ „დიდნი კურთხევანი“ (2002წ.), „ძველი ქართული საეკლესიო ლიტურატურა“ (2003წ.), „ლოცვანი და დაუჯდომელი ღვთისმშობლისად“ (2003წ.) „სპეკალი მართლმადიდებლობისა (2007)“, „სათნოებათმოყვარეობა“ (2003წ.)

ქრისტიანული ხელოვნების კათედრა

ქრისტიანული ხელოვნების ისტორია იმ დისციპლინათა შორისაა, რომლებიც 1988 წლის ოქტომბრიდან, დაარსების დღიდანვე იკითხებოდა თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში. მას შემდეგ განვლილი ათი წლის მანძილზე საქართველოში ბევრი რამ შეიცვალა. ეს ცვლილებები თანაბრად აღიბეჭდებოდა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ცხოვრებაშიც. განვლილ გზაზე, ცხადია, იყო პრობლემები, ზოგჯერ– სირთულეებიც, თუმცა კი მუდამ უცვლელი რჩებოდა უმთავრესი: განუქარვებელი რწმენა ახლად

საფუძველჩაყრილი სასწავლებლის მნიშვნელობისა და შესაბამისად, ის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, რომელიც მუდამ მძაფრდება სასულიერო სფეროსთან მიახლებისას. და კიდევ ერთი, არანაკლებ ნიშნეული გარემოების შესახებ – უმაღლესი სასულიერო განათლების მრავალასწლოვანი ტრადიციის აღორძინების კვალად, განვლილი წლები თანაგვარად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა არამარტო აკადემიისა და სემინარიის კურსდამთავრებულთათვის, არამედ თავად პროფესორ-მასწავლებელთათვისაც – თუ რას ნიშნავს ახალგაზრდობასთან მუშაობა ნებისმიერი სასწავლებლის პედაგოგისათვის, ეს ამთავითვე ცხადი უნდა იყოს; მაგრამ სასულიერო სასწავლებელი ამ მხრივაც სავსებით გამორჩეულია – აქ სწავლება ამქვეყნიური ცოდნის საღვთო ჭეშმარიტების ფონზე ჭვრეტისა და გააზრების საფუძველზე ხორციელდება, ანუ იმ გზით, რომელთან დაკავშირებული ტრადიციაც ჩვენში დიდი ხნის მივიწყებულ-შეწყვეტილი იყო. მის ხელახლა დამკვიდრებას საკმაო ხანი დასჭირდა. ასე, რომ ეს წლები სტუდენტებთან ერთად, ქრისტიანული ხელოვნების კათედრის პედაგოგებისათვის – ძირითად საერო უმაღლესი დაწესებულებებიდან მოწვეული სპეციალისტებისთვისაც, განურჩევლად მათი პედაგოგიური თუ სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილებისა, სწავლისა და ნაკლებად მოაზრებულის წვდომის, სულქმნისა და ზრდის წლები იყო. ეს პროცესი აქ დღესაც მიმდინარეობს და ალბათ კიდევ გაგრძელდება. ყოველივე ამას საბოლოოდ აკადემიის კურსდამთავრებულთა პედაგოგიურ ასპარეზზე გამოსვლა მოჰყვება – პროცესი, რომელიც უკვე დაწყებულია, და იმედია ახლო მომავალში კიდევ უფრო ფართო ხასიათს შეიძენს.

ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის ჩართვა სასულიერო აკადემიის სასწავლო პროგრამაში სრულიად ბუნებრივი იყო-მხატვრული აზროვნება ხომ განუყოფელია საეკლესიო წიაღისაგან. თავიდან ეს საგანი მხოლოდ საღვთისმეტყველო ფაკულტეტზე იკითხებოდა, მაგრამ მალევე, 1990 წელს, სასულიერო აკადემიის ახლად გახსნილი საღვთისმეტყველო ინსტიტუტის წიაღში დაფუძნდა ქრისტიანული ხელოვნების ფაკულტეტი, რითაც სათავე დაედო სპეციალისტთა მომზადებას საეკლესიო ხელოვნების სხვადასხვა დარგში.

იმ ცვლილებათა შორის, რომლებიც ბოლო წლების მანძილზე განხორციელდა სასულიერო აკადემიისა და სემინარიაში, უნდა გამოიყოს 1999 წელს ქრისტიანული ხელოვნების კათედრის გახსნის ფაქტი. ამ ცვლილებათა პირველი შედეგი იყო სახელოვნებათმცოდნეო სპეციალობის კურსებზე წასაკითხ საგნებთა რიგის, მათი მოცულობისა და ხანგრძლივობის საბოლოო დადგენა, სასწავლო პროგრამების შემდგომი დახვეწა, რომელიც ქრისტიანული ხელოვნებისა და რელიგიათმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანატთან ერთად განხორციელდა. განისაზღვრა კათედრის სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებებიც – მათ შორის ერთერთი ყველაზე საშური, ქართულ ენაზე ქრისტიანული ხელოვნების საფუძვლებისა და მისი ისტორიის ამსახველი სახელმძღვანელოს შექმნა. სასწავლო პროგრამისა დახვეწის პროცესი წლების მანძილზე თანმიმდევრულად მიმდინარეობს – ეს ნებისმიერი სასწავლო დაწესებულებისათვის ბუნებრივი პროცესია, ამასთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საეკლესიო წიაღში მომქმედი სასწავლებლისათვის. სასწავლო პროგრამა ისეა აგებული, რომ საღვთისმეტყველო საგნებთან ერთად სტუდენტი იღებს ფართო ცოდნას ძველი და თანამედროვე როგორც ხელოვნების უმთავრეს სფეროებში; ამასთანავე თანმიმდევრულად – ზოგადი შეცნობის საფუძველზე ხდება ვიწრო სპეციალიზაციის მქონე საგნების

სწავლება. რაც მთავარია მსოფლიო ხელოვნების ერთიანი, ქრონოლოგიურ-რეგიონალური პრინციპით წარმოჩენილი სურათის კონტექსტში საგანგებო ყურადღება ეთმობა ქართული ხელოვნების შესწავლას-როგორც მისი განვითარების გეზის, ისე თეორიულ დარგის თავისებურებების შეძლებისდაგვარი სისრულითა და სიღრმით გაცნობას. სტუდენტთა პროფესიული დაოსტატებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სემინარებსა და პრაქტიკულ სამუშაოებს, რომლებიც პირველი კურსიდანვე სალექციო კურსთა აუცილებელი და განუყოფელი შემადგენელია. 2000 წლიდან მოქმედებს სემინარი – „ძველი და თანამედროვე საეკლესიო ხელოვნების პრობლემები,“ რომლის ჩატარების დღე სამშაბათია, აგრეთვე ადგილი – ხატწერის სახელოსნოს დარბაზი, უკვე კარგახანია იქცა სხვადასხვა თაობის შეხვედრებსა და მსჯელობასთან დაკავშირებულ გარკვეულ ტრადიციად. გარდა ამისა, სტუდენტთა ნაწილი ჩართულია იმ პროექტებსა და სამუშაოებში, რომლებსაც კათედრის პროფესორ-მასწავლებლები ახორციელებენ როგორც საქართველოს საპატრიარქოს ეგიდით, ისე სხვადასხვა სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გზით. ეს ახალგაზრდების პროფესიული დაოსტატების ერთერთი წარმატებული გზაა.

თეორიულთან ერთად პრაქტიკულიც – სწავლების ამგვარი გზა თავიდანვე იქნა დამკვიდრებული თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში ქრისტიანული ხელოვნების შემსწავლელთათვის. სწორედ ამას ემსახურება ის სახელოსნოები, რომლებიც დიდი ხანია, რაც ფუნქციონირებს ფაკულტეტზე. ქრისტიანული ხელოვნების სპეციალობის სტუდენტთათვის აუცილებელია ხატწერისა და ნაქარგობის ერთწლიანი კურსის გავლა. ამასთანავე, პირველი კურსიდანვე სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ხატწერა და ნაქარგობა მომავალ სპეციალობად აირჩიონ. მიმდინარე წლიდან უკვე არსებულ სამ სპეციალობას (ხელოვნებათმცოდნეობა, ხატწერა, ნაქარგობა) დაემატა კიდევ რამდენიმე – მუზეუმმცოდნეობა, კულტურული მემკვიდრეობის მართვა, რელიგიური ტურიზმი.

ქრისტიანული ხელოვნების კათედრაზე ლექციებს შესაბამისი დარგის წამყვანი სპეციალისტები კითხულობენ. მათ გვერდით თანდათანობით იმკვიდრებენ ადგილს ახალგაზრდები – ეს ბუნებრივი და აუცილებელი პროცესი შემდგომშიც გაგრძელდება.

გავა კიდევ მცირე დრო, მოვლენ თაობები და უმაღლესი სასულიერო სასწავლებელთა მნიშვნელობა კიდევ უფრო ცხადლივ წარმოჩინდება ჩვენი ქვეყნის ისტორიულ გზაზე. ამ სასწავლებელთა შორის თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიას სწორუპოვარი ადგილი უჭირავს.

რელიგიათმცოდნეობის კათედრა

2006 წლის სექტემბერში გაიხსნა რელიგიათმცოდნეობის კათედრა, რომელიც თანამშრომლობს ფსიქოლოგიისა და რელიგიათმცოდნეობის, აგრეთვე ხელოვნებათმცოდნეობისა და რელიგიათმცოდნეობის ფაკულტეტებთან. კათედრის გახსნა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ რელიგიათმცოდნეობა დასახელებული ფაკულტეტების ერთერთი წამყვანი სპეციალობა და უმთავრესი დისციპლინაა.

რელიგიათმცოდნეობის კათედრას ხელმძღვანელობს პროფესორი ლელა ხაჩიძე, რომელიც 1996 წლიდან სასულიერო აკადემიის პედაგოგია. 1979 წელს მან წარმატებით დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, 1982 წელს – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ასპირანტურა „ლიტურგიკის“ სპეციალიზაციით. 1984 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „იონე მინჩხი – X საუკუნის ქართველი პოეტი“ (აკად. ელ. მეტრეველის ხელმძღვანელობით), 1995 წელს სადოქტორო დისერტაცია – „ეფრემ მცირეს ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა.“ 1987 წელს გამოიცა მისი მონოგრაფია. „იონე მინჩხის პოეზია,“ რომელშიც გამოქვეყნდა ავტორის მიერ გამოვლენილი 80-მდე უცნობი საგალობელი. ამ ნაშრომისათვის ავტორს მიენიჭა აკად. ილ. აბულაძის სახელობის პრემია. 2000 წელს, ევროგაერთიანების პროექტით „Tempus - Tacis“ გამოქვეყნდა მისი მონოგრაფია – „ქართული ქრისტიანული კულტურის ისტორიიდან;“ 2005 წელს – მონოგრაფია: „ძველი ქართული მთარგმნელობითი ხელოვნების შესახებ.“

ლ. ხაჩიძე მონაწილეა ქართული – გერმანული, ქართული – პოლანდიური სამეცნიერო პროექტებისა და მრავალი საერთაშორისო კონფერენციისა და რელიგიათმცოდნეობის, კულტუროლოგიისა და პედაგოგიკის პრობლემებზე. იგი ავტორია 70-მდე პუბლიკაციისა ქართულ და უცხოურ ენებზე.

19 -2005 წლებში პროფ. ლელა ხაჩიძე ხელმძღვანელობდა რელიგიის ისტორიის კათედრას სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ უნივერსიტეტში, იყო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე.

2006 წლის სექტემბრიდან ლ. ხაჩიძე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია.

ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა

თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა გაიხსნა 2000 წლის 1 დეკემბერს. კათედრის გამგედ დაინიშნა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გრივერ გარულავა, ლაბორანტად კი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ქეთევან მამასახლისი.

კათედრასთან აქტიურად თანამშრომლობენ სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებისა თუ სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლები ისინი უძღვებიან სალექციო თუ პრაქტიკულ კურსს ქართული ენისა და ლიტერატურის სხვადასხვა სფეროში: ძვ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი და თანამედროვე ქართული ენა, ჰიმნოგრაფია, ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, ქრისტიანული სახისმეტყველება, ხელნაწერთმცოდნეობა და სხვ. კათედრა აქტიურად თანამშრომლობს ჟურნალ „მნათობთან“, სტუდენტთა ადგილობრივ გაზეთთან-„მახვილი მესისსა.“

კათედრის წევრთა ინიციატივით ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები. აქ წარმოდგენილი ნაშრომები ერთგვარი სინთეზია ქრისტიანული კულტურისა და ქართული მწერლობისა.

კათედრის წევრთა ხელმძღვანელობით შეიქმნა არაერთი სადიპლომო თუ საკურსო ნაშრომი.

ჩვენი პროფესორ-მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ წმინდა სამების საკათედრო ტაძართან არსებულ ახალგაზრდულ ცენტრთან. ისინი აკადემიის სხვა თანამშრომლებთან ერთად ყოველწლიურად მასპინძლობენ გალის

რაიონიდან ცოდნის ასამაღლებლად ჩამოსულ მასწავლებლებს, უკითხავენ ლექციებს, უძღვებიან ძველი ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კურსების მოხილვისას.

კათედრის სხდომებზე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების განხილვასთან ერთად პროფესორ-მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთი სამეცნიერო მუშაობის შედეგებს თუ გამოცდილებას.

ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის თანამშრომელთა ავტორობითა თუ რედაქტორობით გამოვიდა არაერთი წიგნი მაგალითად, ფილოლოგიის მეც. დოქტორი პროფ. ზურაბ ჭუმბურიძე ავტორია წიგნისა „ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ“. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა რევაზ სირაძემ გამოსცა „წმინდა ნინოს ცხოვრება“ და დასაწყისი ქართული ჰაგიოგრაფიისა (1998), ქართული კულტურის საფუძვლები (2000წ), კულტურა და სახის მეტყველება (2008წ), ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა ავთანდილ არაბული ავტორია მონოგრაფიისა „III სერიის ნაკვეთეულთა წარმოება და მნიშვნელობა ძვ. ქართულში“ (1984წ); ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში (2001), ქართული მეტყველების კულტურა (2004); იგი მთავარი რედაქტორია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულისა, რომლის I ტომი გამოვიდა 2007წ.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ლეილა გეგუჩაძემ გამოსცა მონოგრაფია „მწკრივთა შესაძლო შეფარდებებისა და დროთა თანმიმდევრობის საკითხები რთულ კონსტრუქციებში“ (2005წ).

სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“ (მოკლე გრამატიკა, ტექტებითა და ლექსიკონითურთ, 2004წ); ქართული ენა სპარსულ ენოვანთათვის (გამოვიდა ირანში 2004წ.)

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გურამ ბედოშვილმა ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი (2002წ), ფილოლოგიის მეც. დოქტორმა პროფესორმა ნინო მეღიქიშვილმა. ბასილი დიდის, გრიგოლ ნოსელის, გრიგოლ ღვთისმეტყველისა და იოანე ოქროპირის ჰომილეტიკური თხზულებები (2001წ). მისი თანაავტორობით ბელგიაში იბეჭდება გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართული თარგმანები.

ჩვენი კათედრის წევრი, ფილოლოგიის მეც. დოქტორი პროფესორი მედეა ღლონტი რედაქტორია უცხოეთში მცხოვრებ ქართველთათვის განკუთვნილი ჟურნალი „ფუძისა, არის გამომცემლობა“ დედაენის ხელმძღვანელი ავტორი მონოგრაფიისა „ბასკური კალენდრის“ ტიპოლოგიისათვის (კვირის სახელდება, ტერმინოლოგიური სისტემები და მათი ფორმირება 1988წ), ავტორი-შემადგენელი შვიდწიგნეულისა „იგავნი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტიანის“ (გამოცემულია 1, 2, 3, 4 წიგნები), ავტორ-შემდგენელი წიგნისა „უფლის იგავები ყმაწვილთათვის“ (2007წ), არის 80-მდე სამეცნიერო ნაშრომის, წერილისა და რედაქტირებული გამოცემის ავტორი.

არაერთი სასულიერო ხასიათის ლიტერატურა გამოვიდა ფილოლოგიის მეც. კანდიდატ, დოცენტ ქეთევან მამასახლისის რედაქტორობით. მაგალითად, მან ერთმანეთს შეუდარა მეცნიერულად გამოცემული რამდენიმე რედაქცია წმიდა წერილისა (სახარება ოთხთავი, იოანე მახარებლის აპოკალიფსი), მეცნიერულად შეისწავლა პალადი ჰელენეპოლცის „ლავსაიკინის“ ევრემ ირიკული თარგმანი, რომელიც დღემდე შეუსწავლელი ძეგლად ითვლებოდა.

კათედრის გამგე გრივერ ფარულავა

დაიბადა 1936 წლის 5 ივლისს, თბილისში. 1943 წელს შევიდა სამტრედიის რაიონის საჯარო საშუალო სკოლაში და 1954წ. ოქროს მედლით დაამთავრა იგი. ამავე წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1959წ. იმავე, წელს სწავლა განაგრძო უნივერსიტეტის ასპირანტურაში, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე აკადემიკოს კორნელი კეკელიძის ხელმძღვანელობით. ძველი ქართული ენის კურსს ასწავლიდა აკად. აკ. შანიძე.

1962 წელს ასპირანტურის დამთავრებისთანავე მუშაობას შეუდგა კათედრის ასპირანტად. 1970 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1974 წლიდან იმავე კათედრის დოცენტი. 1990 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1992 წლიდან პროფესორია 1991-1993 წლებში იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი სასწავლო მუშაობის დარგში.

2006 წელს უარი თქვა მონაწილეობა მიეღო ე.წ. კონკურსში, პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად, ვინაიდან მიიჩნევდა, რომ იმგვარად წარმართულ რეფორმას როგორც ამას ამბობდა და წარმართავდა მეცნიერებისა და განთლების სამინისტრო, არაფერი ჰქონდა საერთო ჭეშმარიტ რეფორმასთან.

1991-2003 წლებში გ. ფარულავა იყო განათლების სამინისტროსთან არსებული სასწავლო მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე საშუალო სკოლაში ქართული სწავლების სფეროში. მონაწილეობდა სამეცნიერო სიმპოზიუმებში პეტერბურგში, ბუდაპეშტში, ერევანში. მონაწილეობდა სიმპოზიუმებში, რომელიც უკანასკნელი ათი წლის მანძილზე იმართებოდა თბილისში საპატრიარქოს ეგიდით.

გ. ფარულავა ავტორია რამდენიმე ათეული სამეცნიერო ნაშრომისა, რომელთაგან ზოგიერთი თარგმნილია რუსულ, იტალიურ და სომხურ ენებზე და გამოქვეყნებულია შესაბამის ქვეყანაში.

ენების კათედრა

თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში დაარსების დღიდან ისწავლება უცხო ენები. ენების სწავლება არჩევითობის პრინციპით მიმდინარეობს. თავიდან ისწავლებოდა ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ძველი ბერძნული, ებრაული ენები. 1995 წლიდან ისწავლება ახალი ბერძნული ენა, ხოლო 1997 წლიდან – რუსული ენა. სწავლების პროცესში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 2004 წელს უცხო ენების კათედრის დაარსებამ, რომლის გამგე იყო ინგლისური ენის მასწავლებელი მაია ახვლედიანი. 2006 წლიდან კათედრას ხელმძღვანელობს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იური მოსიძე.

ამჟამად თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიაში ისწავლება ინგლისური, გერმანული, რუსული, ახალი და ძველი ბერძნული ენები.

კათედრაზე მიმდინარეობს სამეცნიერო, კერძოდ ლექსიკოგრაფიული მუშაობა. დასრულებულია რუსულ-ქართულ-ინგლისური საეკლესიო

მართლმადიდებლურ ტერმინთა ლექსიკონი, რომლის შექმნაში მონაწილეობდნენ მ. უსტიაშვილი და ნ. ალიბეგაშვილი, მზადდება იგივე ხუთენოვანი ლექსიკონი ძველი და ახალი ბერძნულის დამატებით ჯ. შოშიაშვილის და ლ. ბაქრაძის მონაწილეობით.

აკადემიის ძველი ბერძნული ენის პედაგოგი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ჯულიეტა შოშიაშვილი ეწევა ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას. გამოქვეყნებული აქვს შრომები დიონისე არეოპაგელის, პროკოპი კესარიელი შესახებ, აგრეთვე ის გახლავთ რამდენიმე სხვადასხვა ტიპის ლექსიკონთა ავტორი, ამჟამად მუშაობს ბერძნული და ლათინური ენის სახელმძღვანელოებზე.

კათედრის თანამშრომელი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ლალი ხუჭუა მონაწილეობს საეკლესიო ტერმინოლოგიის ლექსიკონის შედგენაში, რომელიც ხორციელდება არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ბაზაზე. გამოქვეყნებული აქვს სტატიები ცალკეულ ერთეულთა წარმომავლობასა და ეტიმოლოგიაზე.

კათედრის მუშაობა ორიგინალურად ჩართულია თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის სასწავლო პროცესში. სტუდენტებს გააზრებული აქვთ, რომ უცხო ენის ცოდნის გარეშე ვერ შეძლებენ სრულყოფილ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას, რომელიც თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი იქნება.

კათედრის გამგე იური ლევანის ძე მოსიძე დაიბადა 1940 წლის 24 იანვარს მედიკოსების ოჯახში. 1985 წელს დაამთავრა თბილისის რკინიგზის №7 საშუალო სკოლა და ამავე წელს ჩაირიცხა თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1963 წელს გერმანული და ფრანგული ენების სპეციალობით. 1969 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია რომაულ-გერმანული ფილოლოგიის მიმართულებით. 1971-73 წლებში მუშაობდა ქ. იენის უნივერსიტეტში.

1976-1995 წლებში ხელმძღვანელობდა გერმანული ენის კათედრას თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში.

1986 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია (შეპირისპირებითი ენათმეცნიერება, თარგმნის თეორია, გერმანისტიკა).

1995-2005 წლებში იყო თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. მონაწილეობდა საერთაშორისო სიმპოზიუმებისა და კონფერენციებში. არის საერთაშორისო ლიტერატურული პროცესების შემსწავლელი ინსტიტუტის – JNST პროფესორი (ქ. ვენა). ამჟამად ხელმძღვანელობს თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიის უცხო ენების კათედრას.

მცხეთის სასულიერო სემინარიაში სწავლობდნენ:

- მიტროპოლიტი ნიკოლოზი (მახარაძე)
- მიტროპოლიტი ათანასე (ჩახვაშვილი)
- მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე)
- მიტროპოლიტი იობი (აქიაშვილი)

მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი)
მიტროპოლიტი აბრაამი (გარმელია)
მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი)
მთავარეპისკოპოსი იოანე (ანანიაშვილი)
მთავარეპისკოპოსი ზოსიმე (შიოშვილი)
მთავარეპისკოპოსი ვახტანგი (ახვლედიანი)
მთავარეპისკოპოსი ანტონი (ბულუხია)
ეპისკოპოსი იოანე (გამრეკელი)

თბილისის სასულიერო აკადემიაში სწავლობდნენ:

მიტროპოლიტი დავითი (მახარაძე)
მიტროპოლიტი იოსები (კიკვაძე)
მიტროპოლიტი ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი)
მიტროპოლიტი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი)
მთავარეპისკოპოსი პეტრე (ცაავა)
ეპისკოპოსი ზენონი (იარაჯული)
ეპისკოპოსი მელქისედეკი (ხაჩიძე)

დამოწმებული ლიტერატურა

1. შ. ნუცუბიძე „ქართული ფილოსოფიის ისტორია“ ტ.1 იხ. შრომები: ტ. VIII თბილისი 1983წ. გვ. 121
2. სვ. გამსახურდია „სწავლა-განათლება ძველ საქართველოში“ თბილისი 1975წ. გვ. 24
3. „ქართლის ცხოვრება“ ტ.1. თბილისი 1955წ. გვ. 331
4. „ქართლის ცხოვრება“ ტ.1. თბილისი 1955წ. გვ. 332
5. რ. მეტრეველი „დავით IV აღმაშენებელი“ თბილისი 1990წ. გვ. 304
6. მ. დარჩია „გაიოზ რექტორი“ თბილისი 1987წ. გვ. 23
7. ე. ბაბუნაშვილი... „ნათელი ქრისტესი საქართველო წიგნი I თბ. 2003წ. გვ. 447.
8. ს. ჯორბენაძე „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა“, თბილისი 1984წ. გვ. 225
9. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვასილ კარბელაშვილის ფ. №31 დოკ. 65
10. სუიცხა ფ. 284 ატწ.3 საქმე №291
11. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძე ფ. №102 გვ 354
12. საქართველოს საპატრიარქო არქივი დოკ. 2691
13. ს. ვარდოსანიძე „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ილია II“ თბილისი 2008წ. გვ. 100
14. საქართველოს საპატრიარქო არქივი დოკ. № 2717

15. ს. ვარდოსანიძე „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II“ თბილისი 2007წ. გვ. 42
16. ს. ვარდოსანიძე „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II“ თბილისი 2007წ. გვ. 38
17. ს. ვარდოსანიძე „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II“ თბილისი 2007წ. გვ. 37
18. ს. ვარდოსანიძე „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II“ თბილისი 2007წ. გვ. 38
19. ს. ვარდოსანიძე „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ილია II“ თბილისი 2008წ. გვ. 160
20. ს. ვარდოსანიძე „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II“ თბილისი 2007წ. გვ. 112
21. გაზ. „კომუნისტი“ 1988წ. 19 მარტი
22. 2 მთავარეპისკოპოსი ზოსიმე (შიოშვილი) „დიდება ღმერთს ყველაფრისათვის“ თბილისი 1997 წელი გვ. 47-49
23. ქუ. „ჯვარი ვაზისა“ ჟურნალი 1988 წ. №4 გვ. 7
24. „ჯვარი ვაზისა“ გვ. 9-10
25. „ჯვარი ვაზისა“ გვ. 10-11
26. „ჯვარი ვაზისა“ გვ. 11.
27. „ჯვარი ვაზისა“ გვ. 12.
28. „ჯვარი ვაზისა“ გვ. 13.
29. „ჯვარი ვაზისა“ გვ. 13.
30. „ჯვარი ვაზისა“ გვ. 14.
31. გაზ. „თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია.“ 1999წ. №1.
32. გაზ. „თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია.“ 1999წ. №1.
33. გაზ. „თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია.“ 1999წ. №11-12.
34. გაზ. „თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია.“ გვ. 1-2.
35. გაზ. „თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია.“ გვ. 3.
36. ს. ვარდოსანიძე „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ილია II“ თბილისი 2008წ. გვ. 370
37. ს. ვარდოსანიძე „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ილია II“ თბილისი 2008წ. გვ. 371.